European Commission against Racism and Intolerance
Commission européenne contre le racisme et l'intolérance

CRI(2016)2
Version géorgienne
Georgian version

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ

(მონიტორინგის მეხუთე ციკლი)

მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს

გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ECRI Secretariat
Directorate General II - Democracy
Council of Europe
F-67075 STRASBOURG Cedex
Tel.: + 33 (0) 3 90 21 46 62
E-mail: ecri@coe.int

www.coe.int/ecri

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ

(მონიტორინგის მეხუთე ციკლი)

მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს

გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

შემაჯამებელი დასკვნა 9

შედეგები და რეკომენდაციები 13

I. საერთო საკითხები 13

1. კანონმდებლობა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ 13
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი 13
- სისხლის სამართლის კანონმდებლობა 13
- სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დებულებები 15
- დამოუკიდებელი ორგანოები 17
2. სიძულვილის ენა 18
- მონაცემები 18
- რასისტული შინაარსის პოლიტიკური თუ სხვა ფორმის საჯარო გამოსვლები 18
- ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენა 21
- ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები 21
3. რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური ძალადობა 23
- მონაცემები 23
- თავდასხმები რელიგიურ უმცირესობებზე 24
- ჰომო/ტრანსფობიური ძალადობა 25
- ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები 26
4. ინტეგრაციის პოლიტიკა 31
- ხარვეზიანი სფეროები 32
- შედეგები 33
- ახალი პოლიტიკა 34

II. საქართველოსთვის სპეციფიკური საკითხები 36

1. მეოთხე ეტაპის რეკომენდაციები შუალედური შემოწმებისთვის 36
2. სხვა 36

2.1 რელიგიური შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია 36

2.2 დისკრიმინაციასა და ლგბტ პირთა შეუწყნარებლობასთან ბრძოლის პოლიტიკა 39

რეკომენდაციები შუალედური შემოწმებისთვის 41

რეკომენდაციების სია 43

ბიბლიოგრაფია 47

წინასიტყვაობა

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) დააარსა ევროპის საბჭომ. ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს და სპეციალიზდება რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი შედგება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი წევრებისაგან, რომლებიც ინიშნებიან მორალური ავტორიტეტისა და რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებში გამოცდილების საფუძველზე.

წესდებით დადგენილ საქმიანობათა ფარგლებში, ECRI ახორციელებს მონიტორინგს ქვეყნების მიხედვით, რითაც აანალიზებს ვითარებას თითოეულ წევრ სახელმწიფოში რასიზმისა და შეუწყნარებლობის თვალსაზრისით და იძლევა წინადადებებსა თუ შეთავაზებებს გამოვლენილ პრობლემათა დაძლევისათვის.

ECRI-ის მონიტორინგი ქვეყნების მიხედვით თანაბრად შეეხება ევროპის საბჭოს თითოეულ ქვეყანას. სამუშაო სრულდება 5 წელიწადში ერთხელ და მოიცავს 9-10 ქვეყანას წელიწადში. ანგარიშების წარმოდგენის პირველი ეტაპი დასრულდა 1998 წლის ბოლოს, მეორე ეტაპი - 2002 წლის ბოლოს, მესამე ეტაპი - 2007 წლის ბოლოს, ხოლო მეოთხე ეტაპი დასრულდება 2014 წლის ბოლოს. მეხუთე ეტაპზე მუშაობა დაიწყო 2012 წლის ნოემბერში.

ანგარიშების მომზადების სამუშაო მეთოდები მოიცავს დოკუმენტების ანალიზს, შესაბამის ქვეყანაში ვიზიტს და შემდეგ კონფიდენციალურ დიალოგს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან.

ECRI-ის ანგარიშები არ ეფუძნება დაკითხვებსა და მოწმეთა ჩვენებებს. ეს არის ანალიზი, დამყარებული სვადასხვა წყაროდან მიღებულ უამრავ ინფორმაციაზე. დოკუმენტაციის შესწავლა ხორციელდება დიდი რაოდენობით ადგილობრივი და საერთაშორისო წერილობითი წყაროს საფუძველზე. ადგილზე ვიზიტები უშუალოდ დაკავშირებულ მხარეებთან (სამთვრობო თუ არასამთავრობო) შეხვედრის საშუალებას იძლევა, რისი მიზანიცაა დეტალური ინფორმაციის შეგროვება. კონფიდენციალური დიალოგი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან საშუალებას აძლევს ამ უკანასკნელთ, წარმოადგინონ კომენტარები ანგარიშის პროექტზე - თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან - რათა გაასწორონ ფაქტობრივი შეცდომები, რომლებსაც, შესაძლოა, ანგარიში მოიცავდეს. დიალოგის დასასრულს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, თუ მოისურვებენ, შეიძლება მოითხოვნოს ECRI-ის საბოლოო ანგარიშზე თავიანთი თვალსაზრისის დართვა.

ქვეყნების მიხედვით შედგენილ მოხსენებათა მეხუთე ეტაპზე ყურადღება გამახვილდა 4 საკითხზე, რომლებიც საერთოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის: (1) საკანონმდებლო საკითხები; (2) სიძულვილის ენა; (3) ძალადობა, (4) ინტეგრაციის პოლიტიკა და ასევე მრავალი სხვა საკითხი, დაკავშირებული თითოეულ ამ საკითხთან. მათთან კავშირში ყურადღება მიექცევა მეოთხე ეტაპის იმ შუალედურ რეკომენდაციებს, რომლებიც ვერ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა მონიტორინგის მეოთხე ციკლის მანძილზე.

მეხუთე ეტაპზე პრიორიტეტი კვლავ ენიჭება ორი კონკრეტული რეკომენდაციის შესრულებას, რომლებიც ამ ანგარიშშია მოცემული. ამ ორი რეკომენდაციის შუალედურ შეფასებას ECRI ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ორ წელიწადში განახორციელებს .

წინამდებარე ანგარიში შეადგინა ECRI-მ თავისი პასუხისმგებლობით. იგი ასახავს 2015 წლის 17 ივნისის მდგომარეობას. შემდგომში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება არ არის გაანალიზებული და არც დასკვნებსა თუ რეკომენდაციებში გათვალისწინებული.

შემაჯამებელი დასკვნა

ECRI-ის საქართველოს შესახებ მესამე ანგარიშის მიღების შემდეგ (2010 წლის 28 აპრილი), წინ გადაიდგა ნაბიჯები მთელ რიგ სფეროებში.

2012 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები შევიდა 53-ე მუხლში (სასჯელის ძირითადი პრინციპები), რომელიც დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ, ეთნიკურ, ჰომოფობიურ თუ ტრანსფობიურ შეუწყნარებლობას. ამ ცვლილებით შესრულდა ECRI-ის 2010 წლის რეკომენდაცია.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. დისკრიმინაციის საფუძვლებს შორისაა რასა, კანის ფერი, ენა, მოქალაქეობა, წარმოშობა, რელიგია ან რწმენა, ეროვნება, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა.

ამასთან, საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020. ამ სტრატეგიის მიზნებს შორისაა რელიგიისა და რწმენის თვისუფლება, ასევე თანასწორი უფლებები და უმცირესობათა უფლებების დაცვა. 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა inter alia მოიცავს იმ დანაშაულთა პრევენციასა და ეფექტიან გამოძიებას, რომლებიც მოტივირებულია რელიგიური სიძულვილით, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადებას მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რათა მათ შეძლონ სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება.

გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და მასთან დაკავშირებული 2009-2014 წლის სამოქმედო გეგმა. ეს ინტეგრაციაზე მომართული უწყებათაშორისი დოკუმენტი მიზნად ისახავს ქვეყანაში ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და აქცენტს აკეთებს 6 სტრატეგიულ მიმართულებაზე: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურისა და იდენტობის შენარჩუნება.

ECRI მიესალმება საქართველოში ამ პოზიტიურ ძვრებს. თუმცა, მიღწეული წარმატებების მიუხედავად, კვლავ რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც შეშფოთებას იწვევს.

სიძულვილის ენა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, ასევე ლგბტ პირების წინააღმდეგ, კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში. ამ ჯგუფებზე ფიზიკური თავდასხმები შემაშფოთებელი სიხშირით ხდება. მუსლიმთა და იეღოვას მოწმეების რელიგიის თვისუფლება არაერთხელ შეიბღალა ადგილობრივთა ძალადობრივი პროტესტით. ასევე ქართულ საზოგადოებაში არის ზოგადად ჰომო და ტრანსფობიური კლიმატი, ლგბტ ჯგუფებს ხშირად დასხმიან თავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღეს გამართული საჯარო ღონისძიება.

საქართველოს ხელისუფლების პასუხები ამ ინციდენტებზე არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად. ხელისუფლების ორგანოები ყოველთვის საკმარისად არ იძიებენ და სამართლებრივად არ დევნიან სიძულვილით ჩადენილ დანაშაულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ ძალიან იშვიათად გამოიყენება და ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, რომ იგი

გამოეყენებიათ სექსუალურ ორიენტაციასა ან გენდერულ იდენტობასთან მიმართებით.

რელიგიური შეუწყნარელობლობის საფუძველზე განხორციელებული თავდასხმების არაერთ შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიყენეს კანონი რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად. ამის ნაცვლად, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი შეეცადნენ აემოქმედებინათ ადგილობრივი მედიაციის მექანიზმები, მოუწოდებდნენ დომინანტურ ქართულ მართლმადიდებულ ეკლესიას, მოლაპარაკებოდნენ ადგილობრივ მუსლიმ თემს ისლამოფობიური თავდასხმების შემდეგ. ამის მსგავსად, მოძალადე პროტესტანტებისაგან არ დაიცვეს ლგბტ ორგანიზაციების უფლება, მოაწყონ მშვიდობიანი საჯარო ღონისძიებები; მხოლოდ იმით შემოიფარგლენ, რომ უზრუნველყვეს ლგბტ პირებისა და მათ მხარდამჭერთა უსაფრთხო ადგილას გაყვანა.

ინტეგრაციის კუთხით შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და მასთან დაკავშირებული 2009-2014 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები თავდაპირველად კარგად დაიწყო, თუმცა, აკლდა მასშტაბი იმისათვის, რომ ხელშესახები შედეგებისთვის მიეღწია. ამის მაგალითია აქტივობები უმცირესობათა განათლების ხარისხის გაუმჯობესების სფეროში, უმცირესობათა წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება სოციალურ მომსახურებათა ხელმისაწვდომობის შესახებ და სოციალურ-ეკონომიკური გარიყულობის შემცირება.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა მესხების რეპატრიაციისა და ინტეგრაციის განსახორციელებლად.

ასევე არ არსებობს ინტეგრაციის სტრატეგია ლტოლვილებისა და იმ პირებისათვის, რომლებიც დახმარებას იღებენ.

ხელისუფლების ორგანოებს არ მიუღიათ ადეკვატური ზომები ქვეყანაში რელიგიურ შეუწყნარებლობასთან გასამკლავებლად. ახლად შექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არ აქვს ცხადი მანდატი რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და მათი რელიგიური პოლიტიკის შემუშავების სტრატეგია, საუკეთესო შემთხვევაში, ძალიან ორაზროვანი და ბუნდოვანია.

ამ ანგარიშში ECRI მოითხოვს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაატაროს კონკრეტული ზომები რამდენიმე სფეროში; ამ კონტექსტში იგი იძლევა რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულია ქვემოთ.

საქართველომ ხელი უნდა მოაწეროს და რატიფიცირება გაუკეთოს კონვენციის დამატებით ოქმს კიბერდანაშაულზე, რომელიც შეეხება კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებების კრიმინალიზაციას.

საქართველოს ხელისუფლება გულდასმით უნდა დააკვირდეს, იძიებს თუ არა პოლიცია პოტენციურ რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ მოტივებს. ამგვარი მოტივები თავიდანვე უნდა ჩაითვალოს სამართალწარმოების საფუძვლად.

საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა პოლიციაში უნდა შექმნან სპეციალური განყოფილება, რომელიც კონკრეტულად რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულზე იმუშავებს. ამგვარი განყოფილების შექმნისას ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ექსპერტთა რეკომენდაციები

სახალხო დამცველის ოფისიდან, შესაბამისი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.*

ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია გასაძლიერებელია, inter alia უმცირესობათა განათლების გაუმჯობესებით და სოციალურ მომსახურებათა შესახებ საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობების გახშირებით. მისაღებია ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა მესხების რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიის განსახორციელებლად და სოციალური ჩართულობისა თუ განათლების პროგრამების ხელშეწყობა, მათ შორის, ბოშა ბავშვებისათვის.

ასევე მისაღები და განსახორციელებელია ინტეგრაციის მხარდასაჭერი პროგრამები ლტოლვილებისა და იმ პირებისათვის, ვინც დახმარებას იღებს.

საქართველოს ხელისუფლებამ მეტი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს რელიგიათა საბჭოს, რომელიც სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრის ეგიდით მუშაობს. კერძოდ, მათ უნდა დაავალონ ახლად შექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, ითანამშრომლონ რეგლიგიათა საბჭოსთან და გამოიყენონ მისი ექსპერტიზა თუ რეკომენდაციები რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემასთან გასამკლავებლად.*

* ECRI კვლავ დაუბრუნდება ამ რეკომენდაციას შუალედურ ფაზაზე, ამ ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 წლის შემდეგ.

შედეგები და რეკომენდაციები

I. საერთო საკითხები

1. კანონმდებლობა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ[1]

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმი

1. საქართველომ მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) რატიფიცირება 2001 წლის 15 ივნისს და იგი ძალაში შევიდა 2005 წლის 1 აპრილს.

- სისხლის სამართლის კანონმდებლობა

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (CCG) მოიცავს რამდენიმე დებულებას ადამიანის უფლებათა დასაცავად, რომელთა შორისაა თანასწორობის უფლება. პრიმა მუხლი 142-1, რომელიც დაემატა არსებულ და ძალაში მყოფ 142-ე მუხლს, ახდენს რასობრივი დისკრიმინაციის კრიმინალიზაციას: „...რასობრივი დისკრიმინაცია, ე.ი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, ასევე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი და არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა ამავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლებებს, ისჯება...“[2]. თუმცა, კანონში არ შესულა დამატებები ECRI-ის წინა ანგარიშის შემდეგ, რომელიც იძლეოდა შემდეგ რეკომენდაციებს: შემოეტანათ ისეთი დებულებები, რომლებიც კრძალავს ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა რასობრივი შეურაცხყოფა, რასისტული განცხადებების შემცველი მასალების საჯარო გახმაურება ან გავრცელება რასიზმის მოტივით, რასიზმის ხელშემწყობი ჯგუფის შექმნა ან ხელმძღვანელობა.

3. მუხლი 142-1 დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში არ ითვალისწინებს ენას, რელიგიას და მოქალაქეობას, თუმცა, მუხლი 142 კრძალავს „...თანასწორუფლებიანობის დარღვევას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება...“. აკრძალვა ორივე - 142 და 142-1 - მუხლში შემოიფარგლება ქმედებებით, რომლებიც „არსებითად ხელყოფს ადამიანის უფლებებს“. თუმცა, არ არსებობს პრეცედენტული სამართალი, რითაც შეფასდება, თუ როგორ განიმარტება ეს პირობა.

4. სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი კრძალავს რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას. 407-ე მუხლით

---

[1] ზოგადი პოლიტიკის No.7 რეკომენდაციის თანახმად, „რასიზმი“ ნიშნავს რწმენას, რომ რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, მოქალაქეობა ან ეროვნული თუ ეთკიკური წარმომავლობა ამართლებს .... პირზე ან პირთა ჯგუფზე, ან პირის თუ პირთა ჯგუფის აღმატებულობის გაგებას. ამავე რეკომენდაციით, „რასობრივი დისკრიმინაცია“ უნდა ნიშნავდეს ნებისმიერ განსხვავებულ მოპყრობას ისეთ საფუძველზე დაყრდნობით, როგორიცაცა „რასა“, ჯანის ფერი, ენა, რელიგია, მოქალაქეობა ან ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა, რასაც არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება.

[2] არ არსებობს პრეცედენტული სამართალი, რომლის საფუძველზეც განიმარტებოდა, თუ რას ნიშნავს „ეროვნული პატივის და ღირსების დამცირება“.

კრიმინალიზებულია გენოციდი, როგორც ეს რეკომენდებულია ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No7 რეკომენდაციის მე-19 მუხლით. 408-ე მუხლით კრიმინალიზებულია დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, მათ შორის, აპარტეიდი და ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების დევნა. აპარტეიდის ხსენება შეიძლება გავიგოთ როგორც რასობრივი სეგრეგაციის ზოგადი აკრძალვა. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსი არ მოიცავს დებულებებს, რომლებიც კრძალავს რასიზმის ნიშნის მატარებელი გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ან ომის დროს ჩადენილ დანაშაულთა საჯარო უარყოფას, გაბიაურებას, გამართლებასა ან შეგუებას, როგორც ეს რეკომენდებულია ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-18(ე) მუხლში.

5. 142-ე და 142-1-ე მუხლები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-18(დ), (ვ) და (ზ) მუხლებში მოცემული რეკომენდაციების ასახვა, რომლებიც შეეხება საჯარო გამოსვლას რასიზმის ან რასობრივი იდეოლოგიის ნიშნით რასობრივ უპირატესობას რომ აღიარებს, რასისტული მასალის საჯარო გავრცელებას და რასიზმის ხელშემწყობი ჯგუფის შექმნას თუ ხელმძღვანელობას. მაგრამ ეს დანაშაულები მკაფიოდ განმარტებული არ არის. ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-18(თ) მუხლთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მუხლი 142-1 ახდენს რასობრივი დისკრიმინაციის მხოლოდ ერთი ფორმის კრიმინალიზებას: ადამიანის უფლებათა (ანუ მთელ რიგ ფუნდამენტურ უფლებათა) ხელყოფას რასის, კანის ფერის და ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე. 142-ე მუხლი „თანასწორუფლებიანობის დარღვევის“ შესახებ უფლებათა უფრო ფართო კატეგორიას ჩამოთვლის. მიუხედავად ამისა, ეს მუხლები არ გამოკვეთს კონკრეტულად რასიზმთან დაკავშირებულ დანაშაულს. ორივე დებულება შეეხება კერძო და საჯარო სექტორს.

6. სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ დანაშაულის ჩამდენს კი არ აკისრებს პასუხისმგებლობას, არამედ აგრეთვე მის თანამზრახველებს. 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლები მოიცავს დებულებებს, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს დანაშაულის ამსრულებლის წამქეზებლებს, დამხმარეებსა და თანამონაწილეებს. ეს მუხლები შეეხება 142-ე, 142-1 და 407-ე მუხლებსაც. 2012 წელს 53-ე მუხლი (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები) გაფართოვდა და რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნით შეუწყნარებლობა ან დისკრიმინაციის ნებისმიერი სხვა მოტივი ჩაითვალა დამამძიმებელ გარემოებად. ამ ცვლილებით შესრულდა ECRI-ის 2010 წლის ანგარიშის რეკომენდაცია. 142-ე და 142-1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის სასჯელი შეიძლება დაეკისროს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

7. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონი, ხელისუფლებამ შესაბამისობაში მოიყვანოს მისი ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციასთან, როგორც ეს აღნიშნულია წინამდებარე მუხლებში; კერძოდ, სისხლის სამართლის დანაშაულად მკაფიოდ გამოაცხადოს (i) რასობრივი შეურაცხყოფა, (ii) საჯარო გამოსვლა რასიზმის ან რასობრივი იდეოლოგიის ნიშნით, რომელიც აღიარებს რასობრივ უპირატესობას, (iii) რასიზმის ნიშნის მატარებელი გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ან ომის დროს ჩადენილ დანაშაულთა საჯარო უარყოფა, გაბიაბურება, გამართლება ან შეგუება; და (vi) რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლენა სახელმწიფო მოხელეთა მიერ მათი საქმიანობის განხორციელებისას.

- სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დებულებები

8. კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიიღეს 2004 წლის 2 მაისს და იგი ძალაში შევიდა 2014 წლის 7 მაისს. კანონის მიზანია აღმოფხვრას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე, იქნება ეს რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, წარმოშობა, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილი, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, რელიგია ან რწმენა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, შეზღუდული შესაძლებლობები, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები, ან ნებისმიერი სხვა საფუძველი (მუხლი 1). კანონი კრძალავს პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას (შესაბამისად, მუხლები 2.2 და 2.3). მუხლი 2.7 უშვებს საგანგებო ზომებს, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად და ეს არ არის დისკრიმინაცია. ეს ეთანადება ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-5 მუხლს. გარდა ამისა, მუხლი 2.5 კრძალავს „ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად“. თუმცა, აქ არ არის აღნიშნული სეგრეგაცია, დისკრიმინაცია გაერთიანების მიერ და დისკრიმინაციის მცდელობაზე განცხადების გაკეთება, როგორც ეს რეკომენდებულია #7 რეკომენდაციის მე-6 მუხლში.

9. მე-3 მუხლი ადგენს, რომ კანონი უნდა გამოიყენებოდეს საჯარო ორგანიზაციების მიმართ, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ ყველა სფეროში. ეს შესაბამისობაშია ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-7 მუხლთან. მე-4 მუხლის თანახმად, ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: „ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას; ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს; გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად“. ეს დებულებები შეესაბამება ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-8 მუხლთან. თუმცა, იგი არ ავალდებულებს საჯარო სამსახურებს იმის უზრუნველყოფას, რომ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პოლიტიკა დაიცვან მხარეებმაც, რომლებიც მათგან იღებენ კონტრაქტს, სესხებს, გრანტებს ან რაიმე სხვა სარგებელს, რაც რეკომენდებულია ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-9 მუხლით.

10. კანონი აკმაყოფილებს ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-11 მუხლის რეკომენდაციას. კერძოდ, მუხლი 8(2) ითვალისწინებს მტკიცების ტვირთს.

11. კანონის მუხლები 8(3) და 10 ითვალისწინებს მიმართვას სახალხო დამცველისადმი, რომელიც უფლებამოსილია დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს მხარეები საქმის მორიგებით დასასრულებლად და მონიტორინგი გაუწიოს მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. თუ მორიგება ვერ მოხერხდა, მსხვერპლს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია

დისკრიმინაციით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის სასამართლოს გზით. სახალხო დამცველს შეუძლია განიხილოს საქმე და დაადგინოს, ესა თუ ის პირი იყო თუ არა დისკრიმინაციის მსხვერპლი.

12. სახალხო დამცველს შეუძლია გასცეს რეკომენდაცია, თუ როგორ უნდა აღდგეს დარღვეული თანასწორობა, მაგრამ მის რეკომენდაციებს არ აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა და არ შეიძლება იძულებით მათი იძულებით აღსრულება. ამგვარ შემთხვევებში დისკრიმინაციის მსხვერპლმა კვლავ სასამართლოს უნდა მიმართოს. ეს დებულებები შეესაბამება ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-10 და მე-12 მუხლებს. არ ითვალისწინებს მხოლოდ დაჩქარებული პროცედურების შესაძლებლობას.

13. კანონში არ არის დებულება უფასო იურიდიული დახმარების ან, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის შესახებ იმ შემთხვევებისთვის, როცა დაზარალებულს სურს თავის საქმეზე მიმართოს სასამართლოს, როგორც ამას ითვალისწინებს ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის 26-ე მუხლი.

14. კანონის მე-6 მუხლი უფლებამოსილებას აძლევს სახალხო დამცველს, გამოვიდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან. მე-4 მუხლი ავალდებულებს საჯარო და კერძო დაწესებულებებს, თავიანთი საქმიანობა, სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები მოიყვანონ კანონთან შესაბამისობაში. ყოველივე ეს უპასუხებს ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-13 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებულ რეკომენდაციებს. თუმცა, კანონი არ ითვალისწინებს მე-15 მუხლის რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც კანონი უნდა კრძალავდეს შევიწროებას ნებისმიერი დასახელებული საფუძვლით.

15. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის სპეციფიური დებულებები, რომლებიც გაითვალისწინებს რასიზმის ხელშემწყობი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას, ან მათ დახურვას ან გაუქმებას, როგორც ეს რეკომენდებულია ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის მე-16 და მე-17 მუხლებში.

16. კანონი მაუწყებლობის შესახებ 56.3 მუხლით კრძალავს პროგრამების გაშუქებას, თუ შეიცავს მასალას, რომელიც მიმართულია პირის ან ჯგუფის inter alia ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის ან სექსუალური ორიენტაციის გამო შეურაცხყოფისაკენ. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს არსებული შუღლის ან დისკრიმინაციის ილუსტრირებას.

17. რეგულაციები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სერვისის მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ავალდებულებს ინტერნეტის მიმწოდებლებს, გათიშონ ის მომხმარებელი, რომელიც ავრცელებს შუღლს ან წააქეზებს ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმებს. ინტერნეტის მიმწოდებლებმა რეგულარულად უნდა ამოწმონ რეგისტრირებული ვებ გვერდები და, თუ საჭიროა, შეატყობინონ მათ ადმინისტრატორებს, წაშალონ ამგვარი შინაარსის მასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაბლოკონ ისინი. მარეგულირებელ ორგანოს - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას - შეუძლია დააჯარიმოს ინტერნეტის მიმწოდებლები, რომლებიც არ ბლოკავენ ამგვარ ვებ გვერდებს.

18. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ECRI-ის

ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციასთან, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ მოყვანილ მუხლებში. კერძოდ, კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ უნდა დაუმატოს (i) სეგრეგაცია, დისკრიმინაცია გაერთიანების მიერ და დისკრიმინაციის მცდელობაზე განცხადების გაკეთება; (ii) საჯარო სამსახურების ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა დაიცვან მხარეებმაც, რომლებიც მათგან იღებენ კონტრაქტს, სესხებს, გრანტებს ან რაიმე სხვა სარგებელს, (iii) უფასო იურიდიული დახმარების გაწევისა ან ადვოკატის ან, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის ყოლის უფლება მათთვის, ვინც აპირებს მიმართოს სასამართლოს; (iv) დისკრიმინაციის შემთხვევებზე სასამართლოსთვის მიმართვისას დაჩქარებული პროცედურის შესაძლებლობა; (v) შევიწროების ნებისმიერი დასახელებული საფუძვლით. ECRI ასევე იძლევა რეკომენდაციას, ამოქმედდეს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს რასიზმის ხელშემწყობი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას, ან მათ დახურვას ან გაუქმებას.

- **დამოუკიდებელი ორგანოები**

19. სახალხო დამცველი არის დამოუკიდებელი ინსტიტუტიციის წარმომადგენელი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი და აქვს ყველა ის უფლება, რასაც ითვალისწინებს ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის 24-ე მუხლი.[3] ის უფლებამოსილია, განიხილოს საჩივარი ფიზიკური თუ კერძო პირებისაგან, ასევე გამოიძიოს საქმეები საკუთარი ინიციატივით. მანდატი ფარავს კერძო და საჯარო სექტორებს. სახალხო დამცველს აქვს უფლება, საჯარო სამსახურებიდან მიიღოს ნებისმიერი საჭირო მტკიცებულება, მათ შორის სასამართლოდან, მაგრამ არა კერძო პირებისა ან ორგანიზაციებიდან.

20. საქმის განხილვის შემდეგ სახალხო დამცველს არ შეუძლია სანქციების დაწესება, არამედ მხოლოდ რეკომენდაციების გაცემა და მცდელობა, მოაგვაროს საკითხი მორიგების გზით. რეკომენდაციას არ აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა. თუ ამას არ მიიღებს დისკრიმინატორი მხარე, სახალხო დამცველს შეუძლია საქმე შეიტანოს სასამართლოში და იმოქმედოს, როგორც მესამე დაინტერესებულმა მხარემ. სხვა ორგანიზაციებს, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, სასამართლო განხილვისას ასევე შეუძლიათ იმოქმედონ როგორც მესამე მხარემ, მხოლოდ მომჩივანის თანხმობით. თუმცა, სახალხო დამცველს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, თუ არ უთითებს კონკრეტულ მსხვერპლს, რაც ეწინააღმდეგება ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციის 25-ე მუხლს.

21. მას შემდეგ, რაც მიიღეს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, სახალხო დამცველმა მიიღო დამატებითი სახსრები. ეს საკმარისი აღმოჩნდება თუ არა, ჯერ კიდევ სანახავია. გარდა ამისა, ECRI აღნიშნავს, რომ რეგიონულ ოფისებში არ არის თანამშრომელთა საკმარისი რაოდენობა. მაგალითისთვის, აჭარის ოფისში იყო მხოლოდ ერთი მუდმივი თანამშრომელი ECRI-ის ვიზიტის მომენტისათვის. თანამშრომელთა ამგვარი რაოდენობა არ არის ადეკვატური, მითუ უფრო, სახალხო დამცველის ფართო მანდატის გათვალისწინებით.

22. ECRI იძლევა რეკომენდაციას (i) კერძო პირებსა და ორგანიზაციებს ჰქონდეთ ვალდებულება, სახალხო დამცველს წარუდგინონ საჭირო მტკიცებულებები;

[3] 1996 წლის კანონი სახალხო დამცველის შესახებ, ბოლოს შესწორდა 2014 წელს.

(ii) სახალხო დამცველს ჰქონდეს უფლება, მიმართოს სასამართლოს კონკრეტული მსხვერპლის მითითების გარეშე, ზოგადი ინტერესის სფუძველზე; (iii) გააძლიეროს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების შესაძლებლობები.

2. სიძულვილის ენა [4]

- მონაცემები

23. არ არსებობს ოფიციალური მონაცემები რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აღწერს სიძულვილის ენის გამოვლინებებს ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან. ეს არის აღწერები მხოლოდ მინიშნებებით და არამც და არამც ამომწურავი. თავის ბოლო ანგარიშში ECRI იძლეოდა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებას გაეწია უმცირესობათა მიმართ სტერეოტიპების, აკვიატებული აზრებისა და არასწორი შეხედულებების გამოვლენის მონიტორინგი. მიუხედავად ამისა, ძალიან ცოტა გაკეთდა ამ მიმართულებით, თუ არ ჩავთვლით სახალხო დამცველს.

24. ECRI რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, შექმნას რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა. ამის საფუძვლად გამოდგება სახალხო დამცველისა და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციათა ექსპერტული ცოდნა.

- რასისტული შინაარსის პოლიტიკური თუ სხვა ფორმის საჯარო გამოსვლები

25. სიძულვილის ენის გამოვლენა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში და ამ ჯგუფებს კვლავ განსაკუთრებულად განიხილავენ და აკვირდებიან „გამადიდებელი შუშით“.[5] 2014 წლის თებერვლიდან მაისამდე განხორციელებული პოლიტიკურ გამოსვლათა მონიტორინგის პროექტმა აჩვენა, რომ ყველა მთავარი პოლიტიკური პარტიის წევრები მიმართავდნენ სიძულვილის ენას. თურქების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების ცხრა შემთხვევა დაფიქსირდა - მათ, უმთავრესად, მოიხსენიებდნენ ეკონომიკური სირთულეების მიზეზად და „დამპყრობლებად“[6]. ასევე ექვსი შემთხვევა გამოვლინდა ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ[7].

26. ზოგიერთმა მაღალი რანგის პოლიტიკოსმა არატოლერანტული კომენტარი გააკეთა[8]. შავკანიანთა წინააღმდეგ მიმართული რასიზმისა და ქსენოფობიის

---

[4] ეს თავი შეეხება რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიურ სიტყვებს. „სიძულვილის ენის“ განმარტებისათვის იხ. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (97) 20 წევრი სახელმწიფოებისადმი „სიძულვილის ენის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1997 წლის 30 ოქტომბერს.

[5] ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა კომისარი 2014: 26-27; ასევე ჰამარბერგი 2013: 23; და ჰამარბერგი 2014: 7.

[6] მედიის განვითარების ფონდი (MDF) 2014(ა):4

[7] Ibid.: 4 და 17.

[8] გამოითქვა ბრალდებები იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მიმართ, რომელმაც ქსენოფობიური კონოტაციით ისაუბრა ირანის, ერაყისა და ეგვიპტის მოქალაქეებზე. თუმცა, საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ ეს გახლდათ მისი სიტყვების არასწორი ინტერპრეტაცია. ეს კომენტარები გაკეთდა სატელევიზიო პროგრამა „ქრონიკაში“ ინტერვიუს დროს (ტელევიზია „იმედი“)2015 წლის 18 თებერვალს. დარღვევათა შესახებ იხ. სამოქალაქო პლატფორმის „არა შიშს!“ წევრი ორგანიზაციები და სამოქალაქო საქართველო 2015 წლის 3 სექტემბერი. იუსტიციის მინისტრის სიტყვა იხ. ბნულზე http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=4772.

კუთხით, თამაზ ავდალიანმა (ქართული ოცნება), საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ 2014 წლის მარტში განაცხადა, რომ აფრიკელებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისათვის განსხვავებული კრიტერიუმები უნდა არსებობდეს, „რადგან ჩვენ ვვითარდებით და ნამდვილად არ გვჭირდება დამატებითი მუქთამჭამელები“[9]. 2012 წლის ოქტომბერში ასევე საჯაროდ გავრცელდა ვიდეო, სადაც დავით დარახველიძე („ქართული ოცნება“ - შემდგომში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი) რასისტული შინაარსის განცხადებას აკეთებს, ამბობს რა, რომ „ყველა ზანგი, რომელსაც თვბილისში შეხვდებით, მოქალაქეა. ასე არიან ინდოელები და ჩინელებიც“, „საქართველო ქართველებისთვის უნდა იყოს“[10]. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების პროტესტისა, იგი შემდგომში მაინც დაინიშნა მინისტრად.

27. 2012 წლის 24 აპრილს, როცა მიდიოდა დისკუსია სომეხთა გენოციდის დღის აღნიშვნაზე, პარლამენტის წევრმა, მაშინდელი მმართველი პარტიის ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის წარმომადგენელმა, რომლის საარჩევნო ოლქშიც დიდი რაოდენობით აზერბაიჯანული მოსახლეობაა, სომეხთა შესახებ რასისტული შინაარსის განცხადებები გააკეთა საპარლამენტო დებატებისას[11]. 2011 წელს კონფლიქტთა მოგვარების ყოფილი მინისტრი გოგა ხაინდრავა ნეგატიურად მოიხსენიებდა პარლამენტის წამყვანი წევრების ეთნიკურ წარმოშობას, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული სტატიის კვალად, სადაც მთავრობა სახელდებოდა „სომეხთა ლობისტად“. თავად ეს გაზეთი ცნობილია პროვოკაციული რიტორიკით[12].

28. 2010 წლის ივლისში ფინანსთა მინისტრთან საუბრისას მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რასისტული კომენტარი გააკეთა შავკანიან ადამიანებთან მიმართებით: „ჩვენ ზანგები ვართ თუ რა? აბა, ამიხსენით, რატომ ვიქცევით ასე ველურებივით?“[13] მანამდე, ერთი წლით ადრე, მან ასეთი რიტორიკული კითხვა დასვა: ჩვენ პაპუასები ვართ, თუ რა? რატომ ვიქცევით ასე?“[14]

29. ქსენოფობიური დამოკიდებულება ასევე თვალსაჩინოა მედიაში. ამის მაგალითია ტელეარხი „ობიექტივი“. 2014 წელს მისმა ერთ-ერთმა წამყვანა განაცხადა: თუ ვინმეს ერთი ან ორი ჰექტარი მიწა აქვს, არასოდეს მიჰყიდის უცხოელს. მას შეუძლია მიყიდოს მეზობელს, ნათესავს, მაგრამ არამც და არამც აფრიკელს“[15]. გაზეთმა „ალიამ“ ამავე საკითხზე ერთი თვით ადრე დაწერა: „ახლა ათობით უცხოელი კალიასავით შეესევა ქართულ მიწას და დაიწყებს მის ყიდვას...“[16]

---

[9] გაზეთი „ალია“; 03.2014, აღნიშნა მედიის განვითარების ფონდმა 2014(a): 17.

[10] სამოქალაქო საქართველო 19.10.2012.

[11] Aravot online 26.04.2012.

[12] ინტერნიუსი საქართველო 2011: 15-16.

[13] Civil Georgia 28.07.2010

[14] საზოგადოებრივი მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“, 2009

[15] ბონდო მძინარიშვილი გადაცემაში „ღამის სტუდია“, ტელეარხი „ობიექტივი“.02.07.2014

[16] ჟანა ასანიძე, გაზეთი „ალია“, 26.06.2014, ნახსენებია მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში MDF/GDI 2014(d): 3.

30. ასევე მზარდია ისლამოფობიური სიძულვილის ენა. მოძალადე ისლამისტების მიმართ შიში, რაც უკავშირდება რეალურ თუ გამოგონილ მუქარებს ისლამისტური რეგიონებიდან (სირია, ერაყი), ხშირად ჟღერდება ეთნო-რელიგიურ იდენტობაზე ადგილობრივი დისკურსის დროს, რის გამოც რელიგიური უმცირესობები იმთავითვე დანახულია საქართველოსადმი პოტენციურად არალოიალურ ძალად. „ეს უნდობლობა კარგად ჩანს, მაგალითად, მაშინ, როცა აჭარელ მუსლიმებს თურქეთის აგენტებად სახავენ. 2015 წლის იანვარში გაზეთი „კვირის ქრონიკა“ წერდა: [ყოფილმა პრეზიდენტმა] ქართული პასპორტი მისცა 10,000-მდე უცხოელ მუსლიმს და აჭარა თურქეთის .... აქცია, რომელიც ისედაც გათურქების საფრთხის წინაშე იდგა. დღეს ყველამ იცის, რომ ამ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ისლამური სახელმწიფოსთვის იბრძვის სირიაში...“[17] ტელეარხი „ობიექტივი“ დიდი ხანია ატარებს ანტითურქულ სარედაქციო პოლიტიკას, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა თოქ შოუში წამყვანთა კომენტარებით და სტუმრების შერჩევითაც.[18] ეს ტელევიზია ეწეოდა ასევე კამპანიას ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ. ობიექტივის დამფუძნებელმა და პარტიის „პატრიოტთა ალიანსი“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა განაცხადა: „უპირველეს ყოვლისა, ისინი აცნობიერებენ, რა საფრთხეს ქმნის ბათუმის ცენტრში ახალი მეჩეთის მშენებლობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თურქეთის სიმბოლოს აღმართვა“.[19]

31. სიძულვილის ენა სხვა რელიგიურ უმცირესობებსაც ეხება. მას შემდეგ, რაც მთავრობამ გადაწყვიტა, საკომპენსაციო დაფინანსება მიეცა მუსლიმების, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის, კათოლიკებისა და იუდეველთათვის, ობიექტივის წარმომადგენელმა შენიშნა: „მაშინ ბარემ სატანისტებიც დაგვეფინანსებინაო“.[20] 2014 წელს თბილისში საერთაშორისო ფესტივალი მოაწყო ქრისტიანულ-ევანგელისტურმა ეკლესიამ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ალია“ წერდა: „ეს ჩვეულებრივი ანტიქრისტიანული შეკრებაა და მას არავინ არ უნდა დაესწროს“.[21]

32. მედიის განვითარების ფონდის მოპოვებული ინფორმაციით, 2013-14 წლებში ობიექტივმა მიიღო, სულ მცირე, 25 000 აშშ დოლარი, ხოლო გაზეთებმა „ალიამ“ და „კვირის პალიტრამ“ ერთად დაახლოებით 20 000 აშშ დოლარამდე სამინისტროებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისაგან სარეკლამო კონტრაქტებისა და სხვა ხელშეკრულებათა სახით.[22]

33. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ გადახედოს მის კონტრაქტებს მედია საშუალებებთან და გააუქმოს, ან აღარ განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიულ სიძულვილის ენის გამოვლენაში. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი კონტრაქტები შეიცავდნენ დათქმას კონტრაქტის გაუქმების შესახებ, თუკი მედიაში გამოვლინდება რასისტული ან ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენა.

---

[17] გიორგი ჯიქიაშვილი გაზეთში „კვირის ქრონიკა 19.-25.01.2015.

[18] მედიის განვითარების ფონდის ანგარიში, 2013: 27

[19] ირმა ინაშვილი გადაცემაში „ღამის სტუდია“, ტელეარხი „ობიექტივი“ 15.04.2013, ნახსენებია მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში, 2013: 30.

[20] ილია ჩაჩიბაია გადაცემაში „ღამის სტუდია“, ტელეარხი „ობიექტივი“, 24.02.2014.

[21] ჟანა ასანიძე გაზეთ „ალიაში“, 28.05.2014, ციტირებულია მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში, MDF/GDI 2014(c): 6.

[22] მედიის განვითარების ფონდიდან მიღებული ინფორმაცია

34. სიძულვილის ენა ფართოდ გამოიყენება ინტერნეტ სივრცეში და ეს სრულიად გაუკონტროლებელი და დაუსჯელი ფენომენია. ბოლო წლებში სიძულვილის ენის გამოყენება, გადაინაცვლა საიტების ოპერატორების პირდაპირ მოწოდებული მასალიდან კომენტარებში, სადაც მკითხველები - აქვთ რა ანონიმურობის იმედი - თამამად ტოვებენ სიძულვილით აღსავსე მესიჯებს.

- **ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენა**

35. სიძულვილის ენა ლგბტ პირთა წინააღმდეგ მოიცავს რიგ შემთხვევებს ყოფითი შეურაცხყოფებიდან სიძულვილის ენის გამომხატველ კომენტარებამდე - პოლიტიკოსების, ჟურნალისტების ან მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან. მდგომარეობა გამწვავდა ანტიდისკრიმინაციულ კანონში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ჩართვაზე დისკუსიებისას.

36. მედიის განვითარების ფონდის მონიტორინგის პროექტმა 2014 წელს შემთხვევათა ყველაზე დიდი რიცხვი აღნუსხა ლგბტ-ს წინააღმდეგ სიძულვილის ენის სფეროში - 41 ინციდენტი სამი თვის განმავლობაში. ყველაზე დიდი პოლიტიკური ფიგურა სიძულვილის ენის გამოყენების თვალსაზრისით მაშინდელი მინისტრი დავით დარახველიძე იყო, ვისი თქმითაც, „ჰომოსექსუალები ავადმყოფები არიან“[23]. შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, ჰომოსექსუალიზმსა და ტრანსექსუალიზმს გადამდებ დაავადებად წარმოაჩენდა.[24] სექსუალური ორიენტაციის ჩართვის გამო ჟურნალმა „ასავალ-დასავალმა“ ანტიდისკრიმინაციულ კანონს „პედერასტების კანონი“ უწოდა.[25]

37. სიძულვილის ენა გამოიხატა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ საჯარო ღონისძიებათა წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე - მაგალითად, 2013 წლის მაისში (იხ: თავი I.3). საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ლგბტ ღონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა“, ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება“ უწოდა.[26]

38. ონლაინ ჰომო/ტრანასფობიური სიძულვილის ენა მატულობს და არა მხოლოდ ხელახლა ქმნის ზემოაღნიშნულ სტერეოტიპებს, არამედ ხშირად წააქეზებს კიდეც ძალადობას ლგბტ პირთა წინააღმდეგ (იხ: თავი I.3).

- **ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები**

39. ECRI-ის წინა ანგარიშის შემდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა სიძულვილის ენის არცერთ შემთხვევაზე არ დაწყებულა, რადგან არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი. თუმცა, გამოძიებები დაიწყო, როცა საქმე მოიცავდა გარკვეულ მუქარას ძალადობის შესახებ. ამგვარად, სიძულვილის ენაზე per se გამოძიება არ ტარდებოდა. ახალ კანონზე მიმდინარე დისკუსიები ფოკუსირდებოდა სამოქალაქო საზოგადოების

---

[23] გაზეთი „ვერსია“, 09.05.2014, ციტირებულია მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში: MDF 2014(ა): 26.

[24] იმედი, რეაქცია 30.05.2014, ციტირებულია მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში: MDF/GDI 2014(გ): 11-ში.

[25] დიტო ჩუბინიშვილი: „ასავალ-დასავალი“ 26.05.–01.06.2014, ციტირებულია მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში: MDF/GDI 2014(გ): 9-ში.

[26] BBC News 17.05.2013; Der Spiegel 19.05.2013; და MDF/GDI 2014(ბ): 8.

შიშზე, რომ შეზღუდვები სიტყვის თავისუფლებასთან მიმართებით ადვილად შეიძლებოდა ბოროტად გამოეყენებინა მთავრობას სამართლიანი კრიტიკისა და დემოკრატიული დისკურსის ჩასახშობად.[27] 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა პრიმა მუხლი 239-1, რათა დადგენილიყო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვების მიმართ ძალადობის წაქეზებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა საფუძვლებით დაძაბულობის გაზრდას. მართალია, ECRI მიესალმება კანონის მიღებას სიძულვილის ენის გარკვეულ ასპექტთა კრიმინალიზებაზე, თუმცა, შენიშნავს, რომ ახალი კანონი მხოლოდ აძლიერებს საპასუხო რეაქციას, როცა სიძულვილის ენა ცხადად ისახავს მიზნად კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, როგორიცაა ძალადობის კონკრეტული მუქარა.

40. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ მიღებულ იქნას სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კანონი მისი ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციის #7 § 18 (a)-(f) შესაბამისად და ზემოთ მე-7 პუნქტში აღნიშნულ რეკომენდაციასთან კავშირში. ამავე დროს, უნდა ჩატარდეს ტრენინგები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონი არ გამოიყენებოდეს მოწყვლადი ჯგუფების ლეგიტიმურ და არაძალადობრივ შეხედულებათა ჩასახშობად.

41. მედია, გარდა კანონისა მაუწყებლობის შესახებ, რეგულირდება თვითრეგულირების სხვადასხვა მექანიზმით, რომლებიც გათვალისწინებულია ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსით. მაგალითად, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 2006 წლის ქცევის კოდექსი კრძალავს სიძულვილის ენას. თუმცა, ამ დრომდე შესაბამისმა საბჭომ მხოლოდ სამი საჩივარი განიხილა. პროაქტიული მონიტორინგი შეწყდა 2010 წელს და ჩანაცვლდა რეაგირების მიდგომით. კერძო ტელევიზიები და რადიო ასევე ქმნიან მსგავს მექანიზმებს, მაგრამ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ქართულ მედიას, ისინი მეტწილად უფუნქციოდ ან/და არაეფექტიანად დაახასიათეს. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ, რომელიც თვითრეგულირებადი ეთიკის კომისიის მედია საბჭოს (Media Council Ethics Commission) ნაწილია, 25 საგაზეთო სტატია გამოიძია 2014 წელს, რომელთაგან ექვსი რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილის ენას მიმართავდა. მართალია, ზოგიერთ გაზეთს მათ შედეგებსა და რეკომენდაციებზე დადებითი რეაქცია ჰქონდა, მაგრამ ტაბლოიდური გაზეთებისა და ჟურნალების მხრიდან, როგორიცაა „ასავალ-დასავალი“, ნაკლები ან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. თვითრეგულირებადი მექანიზმების ეფექტიანობას ასევე ხელს უშლის ფაქტი, რომ საჩივრის შეტანა მხოლოდ დაზარალებულ პირებს შეუძლიათ და არა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს.

42. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, მედიის თვითრეგულირებად ორგანოებთან ერთად, წამოიწყოს ცნობიერების ამაღლების კამპანია სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ, ისე, რომ არ მოხდეს მათი დამოუკიდებლობის ხელყოფა. ხელისუფლებამ უნდა ეძიოს შესაძლებლობები, რომ მხარი დაუჭიროს და განამტკიცოს დადებითი მიდგომები მედიაინდუსტრიაში ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

[27]სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიაორგანიზაციების ერთობლივი განცხადება კანონპროექტზე სიძულვილის წაქეზების შესახებ, 26.01.2015.

43. სიძულვილის ენის ონლაინ გამოვლინება კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება და ინტერნეტპროვაიდერებს მეტწილად არ სურთ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება (იხ: თავი 17). „კავკასუს ონლაინი“, ყველაზე დიდი ქართული ინტერნეტპროვაიდერი, რომელსაც თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა უკავია, დროდადრო ამოწმებს ვებ გვერდებს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით არ არის ვალდებული, რომ შედეგები გაუზიაროს ეროვნულ მარეგულირებელს - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. მარეგულირებელმა ამ დრომდე მხოლოდ მცირე ინტერესი თუ გამოხატა ონლაინ სიძულვილის ენასთან საბრძოლველად.[28] საქართველო არ არის კიბერდანაშაულის კონვენციის დამატებითი ოქმის ხელმომწერი მხარე, რომელიც ეხება რასისტულ და ქსენოფობიურ ქმედებათა კრიმინალიზაციას, ჩადენილს კომპიუტერული სისტემების საშუალებით.

44. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველომ ხელი მოაწეროს კონვენციის დამატებით ოქმს, რომელიც ეხება რასისტულ და ქსენოფობიურ ქმედებათა კრიმინალიზაციას, ჩადენილს კომპიუტერული სისტემების საშუალებით და მისი რატიფიცირება მოახდინოს.

45. წინა პუნქტებში აღწერილმა მექანიზმებმა ვერ იქონია სათანადო გავლენა. სახალხო დამცველმა ბევრჯერ გააკრიტიკა სიძულვილის ენაში ჩაბმულნი, თუმცა, ვერ შეძლო მათგან ბოდიშის მოთხოვნა ან სამომავლო შემთხვევათა პრევენცია. მან ასევე დაგმო პარლამენტში გამოთქმული ზემოხსენებული კომენტარები სომხების წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა ამ სახელისუფლებო ორგანოს წევრთა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას.[29] პარლამენტის ეთიკის კოდექსი კრძალავს შეურაცხმყოფელი ენის გამოყენებას, თუმცა, არ განსაზღვრავს ამგვარ შემთხვევებში მისაღებ ქმედით ზომებს.[30] ECRI-ს აცნობეს, რომ ამ დროისთვის პარლამენტი რეგლამენტის გადახედვის პროცესშია, რათა შემოიღოს სანქციები სიძულვილის ენასთან დაკავშირებით.

46. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ პარლამენტის რეგლამენტში შეიტანონ დებულება, რომელიც კრძალავს რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ შეურაცხყოფას და ითვალისწინებს ზომებს ან/და სანქციებს მისი დარღვევის შემთხვევაში. გარდა ამისა, ECRI რეკომენდაციას უწევს ყველა პოლიტიკურ პარტიას, მყარი პოზიცია დაიკავოს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის წინააღმდეგ.

3. რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური ძალადობა

- მონაცემები

47. მონაცემებს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური ძალადობის შესახებ აგროვებენ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა. უზენაესი სასამართლო ცალკე მონაცემთა ბაზას აწარმოებს იმ საქმეებისათვის, რომლებშიც გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ. საქართველოს ხელისუფლებამ ECRI-ს აცნობა, რომ სიძულვილით ჩადენილ დანაშაულზე 2011 წელს დაიწყო 4 გამოძიება, 2012-ში - 9, 2013-ში - 16 და 2014-ში - 18.

[28] სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს 2004 წლის კანონის მიხედვით, შინაარსობრივი რეგულირება დასაშვებია, თუ სპეციალურ კატეგორიებში ექცევა, როგორიცაა: ცილისწამება, უხამსობა, დანაშაულის წაქეზება, ან მუქარა (მუხლი 9.1).

[29] Aravot online 2012.

[30] საქართველოს პალამენტის წევრთა 2004 წლის ეთიკის კოდექსი, მე-4 მუხლი.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODHIR) მიერ მიღებული ოფიციალური მონაცემები მიუთითებდა, რომ 2011 წელს სიძულვილით ჩადენილი 19 დანაშაულიდან მხოლოდ ერთზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა; 2012 წელს კი - 13 საქმიდან ხუთზე. ამ წლების განმავლობაში მსჯავრი არც ერთხელ არ დაუდიათ. თუმცა, ეს რიცხვი გაცილებით მცირეა რეალურ შემთხვევათა რაოდენობასთან შედარებით, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ანგარიშებში აღნიშნავენ.

48. ECRI იძლევა რეკომენდაციას, შეიქმნას ერთიანი მონაცემთა ბაზა სიძულვილით ჩადენილ ყველა დანაშაულზე, იმ საქმეთა ჩათვლით, სადაც გამოყენებულია დამამძიმებელი გარემოებები.

- **თავდასხმები რელიგიურ უმცირესობებზე**

49. ECRI-ის ბოლო ანგარიშის შემდეგ გაგრძელდა ხშირი თავდასხმები რელიგიურ უმცირესობებზე და ძალადობრივი ჩარევა რელიგიის თავისუფლებაში. განსაკუთრებით დაზარალდნენ მუსლიმები და იეჰოვას მოწმეები. 2014 წლის ოქტომბერში მუსლიმები მოხეში აპროტესტებდნენ ძველი მეჩეთის დანგრევას, რომელიც ხელისუფლებას ბიბლიოთეკად უნდა გადაეკეთებინა. დავის მეგობრულად მოგვარების გარანტიათა მიუხედავად, საპროტესტო აქციის მონაწილეები პოლიციამ ძალადობრივად დაშალა და არსებული ინფორმაციით, დაპატიმრებებისას ფიზიკურად და სიტყვიერადფ შეურაცხყო ისინი.[31] 2014 წლის სექტემბერში მუსლიმი ბავშვებისთვის სკოლა-პანსიონის შენობის გახსნას ქობულეთში ხელი შეუშალა მოსახლეობის ძალადობრივმა პროტესტმა. მათ შესასვლელი ჩახერგეს და თანამშრომლებსა და ბავშვებს აშინებდნენ. პანსიონის კარზე ღორის თავიც მიაჭედეს.[32] 2013 წლის აპრილში სამი სამხედრო პოლიციელი აშინებდა ქობულეთის მახლობლად მდებარე სოფლის მცხოვრებთ, აჩერებდა ავტომანქანებს და მუსლიმებს ეძებდა. ისინი ადამიანებისაგან მოითხოვდნენ, ეჩვენებინათ, ატარებდნენ თუ არა ჯვარს იმის დასტურად, რომ ქრისტიანები არიან.[33]

50. 2013 წლის აგვისტოში მინარეთის დემონტაჟი ჭელაში პოლიციასა და ადგილობრივ მუსლიმთა შორის ძალადობის მიზეზი გახდა. ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ის საბაჟო წესების დარღვევით იყო იმპორტირებული თურქეთიდან. პოლიციამ სოფელს ალყა შემოარტყა და მინარეთი მოანგრიეს.[34] რამდენიმე ადგილობრივი მუსლიმი, რომლებიც არაპროპორციულ ქმედებას აპროტესტებდნენ, დააპატიმრეს. სამი თვის შემდეგ მინარეთი კვლავ აღმართეს.[35] სამთაწყაროში (2013), ნიგვზიანსა და წინწყაროში (2012) მართლმადიდებელი მცხოვრებნი თავს დაესხნენ მუსლიმ მლოცველებსა და სასულიერო პირებს და სალოცავი ადგილები დაიკავეს.

---

[31]Human Rights Watch 2015; Amnesty International 2015: 160; ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) 2014(c); და TDI 2014(b).

[32]საქართველოს სახალხო დამცველი 19.10.2014; Civil Georgia 10.09.2014; და Popovaite 2014.

[33] Human Rights Watch 2014.

[34] საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და საიმპორტო გადასახადი არ დაკისრებულა. შემოსავლების სამსახურმა გამოსცა 2013 წლის 20 აგვისტოს ბრძანება 39828 მინარეთის დაშლისა და შესწავლის თაობაზე, რათა შეფასებულიყო დღგ. თუმცა, ბრძანება არ განმარტავდა კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, რატომ არ იყო ხელმისაწვდომი შედარებით ნაკლებად მძიმე მეთოდები.

[35] ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა კომისარი 2014: 29-30; და საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) 2013: 20-23.

ზოგიერთი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი მათ მხარს უჭერდა.[36]

51. იეჰოვას მოწმეებმა აღრიცხეს თავიანთ წევრებზე თავდასხმის 25 შემთხვევა 2014 წლის იანვრიდან აგვისტომდე. მძიმე დაზიანებათა გამო ერთი ადამიანი გარდაიცვალა. ძალადობის ორმოცდაცამეტი ფაქტი დაფიქსირდა 2013 წელს.[37] ძალადობის სიმძიმე იცვლებოდა სილის გაწვნიდან ცემამდე, რასაც შედეგად დაზიანებები მოჰყვებოდა. შემთხვევები ხდებოდა ქუჩებში ან თემის რელიგიურ შენობებთან. ხანდახან ბრბო თავს ესხმოდა იეჰოვას მოწმეებს, რათა შეეჩერებინათ მათი რელიგიის საზოგადოებაში გავრცელება ან ხელი შეეშალათ სალოცავ დაწესებულებათა მშენებლობისთვის.[38] 2014 წლის ივნისში ადგილობრივმა მოსახლეობამ და საქართველოს მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა გააპროტესტეს სამეფო დარბაზის მშენებლობა თერჯოლაში. იეჰოვას მოწმეებს თავს ესხმოდნენ მას შემდეგაც კი, რაც მშენებლობის ნებართვა მუნიციპალური საბჭოდან უკან გამოითხოვეს. ორი ადამიანი თავს დაესხა სახლს, რომელსაც იეჰოვას მოწმეები სალოცავად იყენებდნენ. მათ ისროლეს ქვები, ფიზიკურად იძალადეს მეპატრონეზე, სხვები კი დააშინეს.[39]

52. 2014 წლის ივლისში სომხური სამოციქულო ეკლესიის მღვდელზე ჯგუფური თავდასხმა მოხდა თბილისში - იგი სცემეს და ჯვარი მოგლიჯეს. ამ შემთხვევას მოჰყვა დავა ეკლესიის სიახლოვეს არსებულ მანქანების სადგომზე. მოწმეთა მტკიცებით, თავდამსხმელები სომხების წინააღმდეგ სიძულვილის ენას იყენებდნენ.[40] 2013 წლის დეკემბერში ებრაული ხანუკას დღესასწაულის საჯარო აღნიშვნა ძალადობრივად ჩაშალეს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა, მათ შორის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ არაქრისტიანული დღესასწაულის საჯარო აღნიშვნას.[41]

- ჰომო/ტრანსფობიური ძალადობა

53. ბოლო წლებში საქართველოში იმატა ჰომო/ტრანსფობიურ თავდასხმათა რაოდენობამ. მომხდარა არაერთი შემთხვევა, დაწყებული ინდივიდებზე თავდასხმებით საჯარო ადგილებში - და ზოგჯერ მათ სახლებშიც კი - დამთავრებული ლგბტ ღონისძიებებზე ძალადობის გამოვლენით და არასამთავრობო ორგანიზაციათა დაშინებით. მსხვერპლნი ხშირად თავს იკავებენ ამგვარ შემთხვევათა შეტყობინებისგან საქართველოში ძლიერი ჰომო/ტრანსფობიური კლიმატის გამო, ან იმ მიზეზით, რომ ეშინიათ სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამჟღავნებისა, რასაც შედეგად სამაგიეროს გადახდა, ნაკლები მხარდაჭერა ან დისკრიმინაციული მოპყრობა მოჰყვება პოლიციის მხრიდანაც კი.[42]

---

[36] ადამიანის უფლებათა კომისარი 2014: 29-30; Corley 2013; და „Georgian Journal“ 02.11.2012.

[37] იეჰოვას მოწმეები 14.10.2014.

[38] ადამიანის უფლებათა კომისარი 2014: 29; და TDI 2014(a): 41.

[39] ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი 26.06.2014.

[40] Radio Free Europe / Radio Liberty 21.07.2014.

[41] ადამიანის უფლებათა კომისარი 2014: 30. – საქართველოს მართლმადიდებლური საპატრიარქო გაემიჯნა ამგვარ ქმედებებს და ყურადღება გაამახვილა ტრადიციულად კარგ ურთიერთობებზე ებრაულ თემთან.

[42] ადამიანის უფლებათა კომისარი 2014: 21-22; ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) 2014: 2; და WISG / ILGA-Europe 2015(a): 2.

54. ლგბტ აქტივისტებს ბევრჯერ დამუქრებიან. 2015 წლის იანვარში „იდენტობასა“ და მის პერსონალს სოციალური მედიის საშუალებით ემუქრებოდნენ.[43] მათ ადრეც მიუღიათ სიკვდილის მუქარები - 2012-2013 წლებში.[44] 2013 წლის თებერვალში „ქალთა ფონდი“, პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში, რომელმაც მხარი ღიად დაუჭირა ლგბტ ჯგუფებს, იძულებული გახდა, ოფისი შეეცვალა, რადგან მეზობლები თანამშრომლებს ემუქრებოდნენ.[45]

55. 2013 წლის 17 მაისს დემონსტრაციამ, რომელიც გაიმართა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, ძალადობრივი სახე მიიღო. ლგბტ პირებს თავს დაესხა საპროტესტო აქციაში მონაწილეთა ბრბო, მათ შორის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლები, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანმა მიიღო დაზიანებები.[46] მანამდე, 2012 წელს, ამ დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს თავს დაესხნენ რადიკალური რელიგიური საპროტესტო აქციის მონაწილეები და, სულ მცირე, ორ ადამიანს მიაყენეს მძიმე დაზიანებები.[47]

56. 2013 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა კიდევ შვიდი თავდასხმა აღნუსხეს წლის განმავლობაში, ასევე მკვლელობაც, შესაძლო ჰომოფობიური მოტივებით; სახალხო დამცველმა კი 30-ზე მეტი საჩივარი მიიღო თავდასხმებზე ლგბტ პირთა წინააღმდეგ.[48] 2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშებიდან ცნობილი გახდა ლგბტ პირთა მიმართ ფიზიკური ძალადობის კიდევ ხუთი შემთხვევა, ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ინციდენტის გარდა.[49]

57. იზრდება იმ ბლოგებისა და ფორუმების რიცხვი, სადაც აქეზებენ ლგბტ პირთა წინააღმდეგ ძალადობას. მაგალითად, 2012 წლის ივნისში იმ ორგანიზაციის წევრებმა, რომელიც ლგბტ პირებზე თავდასხმებს ახორციელებს, გამოაქვეყნეს მაისურის ფოტოსურათი სლოგანით: „დახოცე გეიები“.[50]

- **ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები**

58. რელიგიურად მოტივირებული ძალადობის ბევრ საქმეში პოლიციამ და პროკურატურამ სრულად არ გამოიძიეს შემთხვევები, ან არ დაიწყეს სამართლებრივი დევნა დამნაშავეთა მიმართ. საქმეთა უმრავლესობა ბოლომდე არ მიყვანილა - მაშინაც კი, როცა თავდამსხმელთა ვინაობა ცნობილი იყო - ანდა მათ განიხილავდნენ წვრილმან ხულიგნობად და ნაკლებმნიშვნელოვან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად.[51] თუ საქმეებს იძიებდნენ, დამნაშავეებს ხშირად უბრალოდ ხელწერილს

---

[43] იდენტობა 08.01.2015. ასევე იხ: სახალხო დამცველი 09.01.2015.

[44] იდენტობა 2013: 8.

[45] MamaCash International Women's Fund 10.04.2013.

[46] ILGA 2014: 9.

[47] Interights (უთარიღო). ასევე იხ: EMC და სხვები 2015: 4.

[48] ადამიანის უფლებათა კომისარი 2014: 22. ასევე იხ: იდენტობა 2013: 7-11.

[49] ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი 2012.

[50] იდენტობა, 2013: 12.

[51] იხ. მაგ.: თავდასხმები იეჰოვას მოწმეებზე თერჯოლაში (EMC 2014: 1 და 4).

ადებინებდნენ, რომ მსგავს დანაშაულს აღარ ჩაიდენდნენ, ან მცირე ჯარიმას ახდევინებდნენ. ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებსა ან შედეგებზე (თუ ასეთი რამ საერთოდ იყო) მსხვერპლი ხშირად არ იყო ინფორმირებული.[52]

59. ჭელას საქმეში (§50) გამოძიება ფოკუსირდებოდა საპროტესტო აქციის მონაწილეთა ქცევაზე და არა ბრალდებებზე პოლიციის მხრიდან არამართლზომიერი მოქმედების შესახებ.[53] წინწყაროსა და ნიგვზიანის ძალადობრივი მოვლენები მოიცავდა რელიგიურ რიტუალებში ინტერვენციას, თუმცა, ხელისუფლება არ ჩარეულა მუსლიმური თემის უფლებათა დასაცავად და არც გამოძიებები დაწყებულა. ხელისუფლებამ, კანონის გამოყენების ნაცვლად, რელიგიურ ჯგუფებს შორის დიალოგს დაუჭირა მხარი.[54] მოხეს მოვლენების შემდეგ მთავარმა პროკურატურამ გამოიძია ბრალდებები ძალის გადამეტებასა და უკანონო დაპატიმრებებზე, მაგრამ იყო თუ არა პოლიციის ქმედებათა შესახებ ჩატარებული ეს გამოძიება ეფექტიანი, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.[55]

60. საპროტესტო გამოსვლების დროს ქობულეთში პოლიცია იქვე იმყოფებოდა, თუმცა პასიურობდა. ხელისუფლებამ აცნობა ECRI-ს, რომ შემდეგ პოლიციას ებრძანა ნებისმიერი სახის სამომავლო კონფლიქტის პრევენცია, მაგრამ არ მიეცა მითითებები პანსიონის გახსნის უზრუნველყოფაზე. პროკურატურამ წამოიწყო გამოძიება უბრალოდ მუქარის შემცველ ქმედებებზე და არ გაითვალისწინა რელიგიური სიძულვილი.[56] თბილისში სომეხ მღვდელზე თავდასხმის შემთხვევაც ამ მოტივის გაუთვალისწინებლად გამოიძიეს.[57]

61. საქმეთა ძალზე შეზღუდული რაოდენობა დასრულდა სამართალწარმოებით. სამი სამხედრო პოლიციელის საქმე, რომლებიც ქობულეთში მანქანებს აჩერებდნენ მუსლიმთა ძიებაში, დამნაშავეთა გასამართლების მაგალითია.[58] 2014 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა სახელმძღვანელო მითითებები მეტად ეფექტიან ზომებზე სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ. პოლიციის ოფიცრებს დაევალათ, სავარაუდო სამართალდარღვევათა გამოძიებისას ჩაეწერათ ინფორმაცია შესაძლო სიძულვილის მოტივებზე. ECRI მიესალმება ამ ინიციატივას, თუმცა, ჯერ კიდევ სანახავია, როგორ დაინერგება იგი.

62. ECRI იძლევა რეკომენდაციას, მონიტორინგი გაეწიოს იმას, გამოიძიებს თუ არა პოლიცია შესაძლო რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიურ მოტივებს; დამატებითი რეკომენდაციის სახით, იგი ურჩევს ამ მოტივების განხილვას სასამართლო პროცესის საწყისი ეტაპიდან.

63. ბოლო დროს თავდასხმებისა და მუქარის გარკვეულ შემთხვევებს რომელთაც ლგბტ პირთა წინააღმდეგ პოლიცია იძიებდა, მაგალითად, იდენტობის მიმართ მუქარებს 2015 წელს, თავდაპირველად ისინი უარს აცხადებდნენ

---

52 TDI 2014(a): 43-44.

53 ეფუძნება ECRI-ის სამდივნოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისგან მიღებულ ინფორმაციას. – შდრ. GDI 2013: 20-23.

54 GDI 2013: 22–25.

55 Human Rights Watch 2015: 255.

56 სამი პირი დაჯარიმდა მცირე თანხით ღორის თავის მუსლიმური სკოლის კარზე მიჭედების გამო, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად იქნა მიჩნეული.

57 რადიო თავისუფალი ევროპა / რადიო თავისუფლება 21.07.2014.

58 სამიდან ორი სამართალდამრღვევი დააკავეს, მათ მიმართ დაიწყეს სისხლისსამართლებრივი დევნა ხულიგნობისა და ძალის გადამეტების ბრალდებით და გაასამართლეს. მესამე პირი გაიქცა.

გამოძიების დაწყებაზე ან უხალისოდ ეკიდებოდნენ რიგ საქმეთა გამოძიებას. 2013 წლის საქმეში ჰომოსექსუალ მამაკაცთა მიმართ განმეორებითი ფიზიკური ძალადობისა და სიკვდილის მუქარებზე „იდენტობამ“ პროკურატურას მიმართა გამოძიების მოთხოვნით, მაგრამ პასუხად მიიღეს, რომ „... ხელისუფლება ვერ გამოიძიებს ყველა სახის „სისულელესა და ხუმრობას“ სოციალურ ქსელში.“[59] „ქალთა ფონდმა“ მაშინვე აცნობა პოლიციას მათ წინააღმდეგ მიმართულ მუქარებზე, მაგრამ გამოძიება მხოლოდ 2014 წლის იანვარში დაიწყო, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა განმეორებით მოითხოვა ინფორმაცია პოლიციისგან. 2013 წლის მკვლელობის საქმე, შესაძლო ჰომოფობიური საფუძვლებით, გამოიძიეს, როგორც ძარცვა, რაიმე სახის მიკერძოებული მოტივის ხსენების გარეშე.[60] ჰომო/ტრანსფობიურ მოტივებთან მიმართებით დღემდე არცერთ საქმეში არ გამოყენებულა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ.

64. 2014 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის. სტრატეგიულ სამიზნე სფეროთა შორისაა გამოხატვის, შეკრებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის თავისუფლება (N10); რელიგიისა და რწმენის თავისუფლება (N11); და თანასწორი უფლებები და უმცირესობათა უფლებების დაცვა (N12).[61] სტრატეგიის თანმხლები 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა შეიცავს დებულებებს, როგორიცაა: „რელიგიური სიძულვილით/შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების პრევენცია და ეფექტიანი გამოძიება“ (N12.2). ეს გულისხმობს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი პროკურატურის პერსონალის გადამზადებას სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად (N12.2.3); და „საჯარო რელიგიურ დაწესებულებათა დაცვა საჭიროების შემთხვევაში“.[62] მართალია, ბოლო საკითხთან მიმართებით ზომები არ მიღებულა[63], თუმცა მოდული სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე ჩართეს პოლიციის აკადემიის რამდენიმე ტრენინგ კურსში, რომელსაც 583 მონაწილე დაესწრო 2014 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში.[64] თუმცა, ჰომო/ტრანსფობიური მოტივები კურსის კომპონენტების სიაში შეტანილი არ არის და ჩნდება მხოლოდ ცალკე ტრენინგ კურსში ბრბოს კონტროლის შესახებ („პოლიციის როლი სექსუალურ უმცირესობათა შეკრებების დროს“), რომელსაც მხოლოდ 30 მონაწილე დაესწრო. კვლავ გაურკვეველია, ეს ტრენინგები ფოკუსირდება თუ არა ლგბტ ჯგუფების საჯაროდ შეკრების უფლებათა დაცვაზე.

65. ხელისუფლებამ აცნობა ECRI-ს, რომ 2014 წელს ოთხმოცდაოთხმა სამართლის სპეციალისტმა, მათ შორის მოსამართლეებმა და პროკურორებმა, გაიარა ტრენინგი დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში და სახელმწიფოს ყველა რეგიონს ეყოლება, სულ მცირე, ერთი პროკურორი, მომზადებული სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის გამოსაყენებლად დამამძიმებელ

---

[59] იდენტობა 2013: 9.

[60] იდენტობა 2013: 8.

[61] საქართველოს მთავრობა 2014(a): 16-17.

[62] საქართველოს მთავრობა 2014(b): 38.

[63] ეს ასევე ცხადი ხდება სახალხო დამცველის განცხადებებიდან სხვადასხვა ინციდენტთან მიმართებით. სახალხო დამცველის შეფასებები არ არის შეტანილი ჩამონათვალში, როგორც სამოქმედო გეგმის დანერგვის შეფასების ინდიკატორი.

[64] საქართველოს მთავრობა 2015: 51.

გარემოებებთან მიმართებით. თუმცა, ხელისუფლება აღიარებს, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში გეგმავს ტრენერთა ტრენინგის ორგანიზებას სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა მოხელეებისათვის.

66. ECRI-ს ასევე აცნობეს, რომ ადრე განიხილებოდა გეგმები პოლიციის სპეციალურ დანაყოფთა შექმნაზე, რომლებიც იმუშავებდნენ რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ ძალადობაზე, თუმცა, ამ მხრივ წინ ნაბიჯები აღარ გადადგმულა.

67. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა მოხელეთათვის გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე. გარდა ამისა, ტრენინგები უნდა ფარავდეს ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებსაც. ასევე გასცემს რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ შეაფასოს ტრენინგების გავლენა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეცვალოს ისინი.

68. გარდა ამისა, ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შექმნას პოლიციის სპეციალიზებული დანაყოფი, რომელიც საგანგებოდ იმუშავებს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე. ამ დანაყოფის შექმნისას ხელისუფლებამ კომპეტენტური საექსპერტო რჩევისთვის უნდა მიმართოს სახალხო დამცველს, ასევე, შესაბამის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

69. საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად სისხლის სამართლის იმ დებულებათა შესახებ, რომელთა საფუძველზეც სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის დასჯა შესაძლებელია, არ გამართულა არანაირი კამპანია; არც ნაბიჯები გადადგმულა მსხვერპლთა წასახალისებლად, რომ საჩივრები შეეტანათ ამგვარ ქმედებებზე, როგორც რეკომენდებული იყო ECRI-ის წინა ანგარიშში საქართველოზე. ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ECRI-ს აცნობა რამდენიმე ანტიძალადობრივი პროექტის წამოწყების შესახებ სკოლებში. თუმცა, ისინი არ მიემართებოდა სპეციალურად სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებს და არ უსვამდა ხაზს ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპებს, უბრალოდ, ფოკუსირდებოდა დანაშაულის პრევენციის ზოგად ასპექტებზე.

70. ECRI იძლევა რეკომენდაციას, ეცნობოს საზოგადოებას სისხლის სამართლის იმ დებულებებზე, რომლებიც რასობრივად მოტივირებულ, რელიგიური შეუწყნარებლობის ან ჰომო/ტრანსფობიურ ნიადაგზე ჩადენილ ქმედებათა დასჯის საშუალებას იძლევა; ასევე ხელი შეუწყონ მსხვერპლთ, რომ გაასაჩივრონ ამგვარი ქმედებები. ECRI-ის დამატებითი რეკომენდაციით, უნდა დაიწყოს ცნობიერების ამაღლების პროგრამები სკოლებსა და უნივერსიტეტებში რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილთან საბრძოლველად.

71. ხელისუფლების მარცხი, მოეხდინათ სათანადო რეაგირება რელიგიურ უმცირესობათა და ლგბტ პირთა მიმართ ძალადობაზე, ხშირად ამ ქმედებათა გამეორებას იწვევდა. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების მიუხედავად, რომელიც არაერთხელ დაადასტურა ადამიანის უფლებათა

ევროპულმა სასამართლომ[65], ეფექტიანი შემაკავებელი მექანიზმის გარეშე მდგომარეობა კვლავ პრობლემური რჩება. ეს ქმნის შიშის ატმოსფეროსა და იწვევს თავდასხმათა რიცხვის ზრდას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხშირად უარყოფითი როლი შეასრულა და რამდენიმე საქმეში მხარი დაუჭირა ძალადობრივი საპროტესტო აქციის მონაწილეებს[66]. მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულობის განსამუხტად პრემიერ-მინისტრი მუსლიმ ლიდერებს შეხვდა ჭელას ინციდენტის შემდეგ, საკითხი მთავრობამ არაფორმალურად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს[67] გადასცა. მოლაპარაკებები დავის მოგვარებაზე გაიმართა საპატრიარქოსა და მუსლიმთა სამმართველოს შორის[68]. ხელისუფლებას არც იმის დადგენა უცდია, დაირღვა თუ არა მუსლიმთა რელიგიის თავისუფლება და არც გამოძიება ჩაუტარებია იმ მოხელეთა მიმართ, რომლებმაც სავარაუდოდ ძალას გადაამეტეს და დისკრიმინაციულად ეპყრობოდნენ მუსლიმებს ჭელაში.

72. თვითმხილველთა მონათხრობიდან ცნობილი ხდება, რომ 2013 წლის 17 მაისის მოვლენებისას პოლიციის სტრატეგია ფოკუსირდებოდა ლგბტ აქტივისტთა უსაფრთხო ადგილას გადაყვანაზე, ნაცვლად იმისა, რომ დაეცვათ მათი შეკრება საწინააღმდეგო მანიფესტანტთა თავდასხმებისაგან.[69] 2013 წლის მაისში ლგბტ-ს მიმართ ძალადობის შემდეგ მთავრობამ დაგმო ამგვარი ძალადობრივი ქმედებები, თუმცა, მისი განცხადებები არ შეიცავდა მოწოდებებს მეტ შემწყნარებლობასა და პატივისცემაზე ლგბტ პირების მიმართ. „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, დავით საგანელიძემ, დაადანაშაულა კიდეც ლგბტ ორგანიზაციები ამ ძალადობაში, წარმოაჩინა რა ისინი პროვოკატორებად.[70]

73. ხელისუფლების რეაქცია სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებზე არაადეკვატურია. ხშირად არ ითვალისწინებენ სიძულვილის მოტივებს; ჯგუფურ თავდასხმებს რელიგიურ უმცირესობებსა და ლგბტ პირებზე არ მოჰყვება საჭირო რეაგირება სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან სამართალდამრღვევთა დასასჯელად და შესაძლო ინციდენტთა პრევენციისათვის. სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებას რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ; ნაცვლად ამისა, მხარს უჭერს მედიაციის პროცედურებს, რომლებიც, თავის მხრივ, არასაკმარისია რელიგიურ თავისუფლებათა უზრუნველსაყოფად და ძალადობის შემდგომ გამოვლინებათა ასაცილებლად.

---

[65] იხ. მაგ: ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო no. 28490/02, 07.10.2014-ის გადაწყვეტილება); და გლდანის იეჰოვას მოწმეების კონგრეგაცია საქართველოს წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო no.71156/01, 03.05.2007-ის გადაწყვეტილება).

[66] იხ. მაგ: EMC 2014: 2-4 თერჯოლას საქმეზე.

[67] სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი („პატრიარქი“) არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი („საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია“).

[68] TDI 2014(a): 47-49.

[69] “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” და სხვები 17.05.2013; ასევე: Roth 17.05.2013. იხ. ასევე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი no. 73235/12),12.05.2015.

[70] ტაბულა. 05. 2013. - საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ვერ შეძლო ლგბტ პირთა მიმართ მღვდლების ძალადობის დაგმობა და მათი ქმედებები უბრალოდ „უზრდელობად“ მოიხსენია (ანთელავა 23.05.2013.).

74. ECRI იძლევა რეკომენდაციას, სრულად და დამოუკიდებლად გამოიძიონ ისლამოფობიის შემთხვევები, განსაკუთრებით კი ჭელას, ქობულეთისა და მოხეს ინციდენტები, სიძულვილით ჩადენილ სხვა დანაშაულებთან ერთად, და სამართალდამრღვევთა მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ECRI-ის დამატებითი რეკომენდაციით, სამომავლოდ ხელისუფლებამ უნდა დაიცვას რელიგიურ და სხვა უმცირესობათა უფლებები ძალადობრივი საპროტესტო აქციის მონაწილეთაგან.

4. ინტეგრაციის პოლიტიკა

75. ხელისუფლებამ მიიღო 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა. სამინისტროთაშორისი კონცეფცია და გეგმა დაეფუძნა ექვს სტრატეგიულ მიმართულებას: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. სამოქმედო გეგმა ფართოდ დაინერგა პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად (იხ: თავი I.1), როგორც რეკომენდებული იყო ECRI-ის მიერ 2010 წელს.[71]

76. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას - სფეროს, რომელიც ECRI-ის წინა ანგარიშის მიხედვით, გაუმჯობესებას საჭიროებდა.[72] პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ დაიწყო 2011 წელს, იმ მიზნით, რომ გაეუმჯობესებინათ ქართული ენის ცოდნის დონე ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობებში. ხელისუფლება 300 მასწავლებელს ერთი წლის განმავლობაში უწევდა მხარდაჭერას, რათა ქართული ესწავლებინათ უმცირესობათა რეგიონებში.[73] ECRI-ის ასევე ეცნობა, რომ 2010 წლის პრიორიტეტულ რეკომენდაციათა[74] პასუხად, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ 2014 წელს გადახედა თავის პოლიტიკას და შეამოწმა უმცირესობათათვის ქართული ენის სწავლების სატრენინგო რესურსთა ხარისხი. შედეგად, ქართულს, როგორც მეორე ენას, 2014 წელს სკოლა რვა რეგიონულ ცენტრში ასწავლიდა საბაზისო კურსის სახით. თუმცა, არცერთი აქტივობა არ გავრცელებულა უფრო ფართოდ და, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებით დადებითი ნაბიჯები გადაიდგა, მასშტაბი კვლავ არასაკმარისი რჩება.

77. 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაინერგა რამდენიმე ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტი, როგორიცაა გზებისა და რკინიგზის მშენებლობა. ეს ყველაფერი ემსახურებოდა ისტორიული ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ზოგიერთი რეგიონის გეოგრაფიული იზოლაციის შემცირებას, სამუშაო ადგილების შექმნას მათი შრომით ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით და ამ გზით უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური მარგინალიზაციის შესუსტებას.

---

[71] ECRI-ის მეოთხე ანგარიში საქართველოზე, § 102 .

[72] ECRI-ის მეოთხე ანგარიში საქართველოზე, § 35.

[73]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ გვერდი.

[74] საქართველოზე ECRI-ის მეოთხე ანგარიშის § 78. რეკომენდაციის მეორე ნაწილთან დაკავშირებით (კურსდამთავრებულთა დახმარება ადეკვატურ დასაქმებაში) უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ამ დროისთვის ასწავლის მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც უკვე დასაქმებულნი არიან სამოქალაქო სერვისში.

78. რაც შეეხება შედარებით მცირე უმცირესობათა ჯგუფებს, ხელისუფლებამ აცნობა ECRI-ს, რომ 125 დაბრუნებული მესხი ოჯახი სარგებლობდა სოციალური ჩართულობისა და განათლების მხარდაჭერის პროგრამებით. ბოშა ბავშვების ნაწილი ასევე მონაწილეობდა ამ აქტივობებში, მშობლებსა და ადგილობრივ თემთან ერთად, რათა შექმნილიყო უფრო შემწყნარებლური გარემო.

- **ხარვეზიანი სფეროები**

79. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და მის სამოქმედო გეგმაში არ გაუთვალისწინებიათ ორი ჯგუფი - დევნილები და პირები, რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას. ECRI-ს აცნობეს, რომ ხელისუფლება მათთვის ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამას გეგმავს. ამ დროისათვის სოციალური და ეკონომიკური დახმარება აღნიშნული ჯგუფებისათვის კვლავ უმნიშვნელოა. ისინი იღებენ ყოველთვიურ კომპენსაციას, რომელიც დაახლოებით 18 ევროს შეადგენს და აქვთ წვდომა საბაზისო ჯანდაცვასა და განათლებაზე; ასევე, მუშაობის უფლებაც, რისი გამოყენებაც რთულია ენობრივ ბარიერთა გამო, თუმცა, არა იმ პირთათვის, რომლებიც რუსულს საკმარისად ფლობენ. ენის კურსები შემოთავაზებული არ არის, თუ არ ჩავთვლით გაერთიანებული ერების ლტოვილთა უმაღლესი კომისარიატის რამდენიმე საქმეს. დევნილთა მხარდაჭერის პროგრამებს მეტწილად საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ, მაგალითად, პანკისის ხეობაში. ამგვარი მხარდაჭერა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, თუმცა, არ გახლავთ გრძელვადიანი ინტეგრაციის საიმედო გადაწყვეტის გზა.

80. საყოველთაო რეპატრიაციისა და მესხთა ინტეგრაციის სტრატეგიის ნაწილს არ შეადგენდა მესხების დახმარება, როგორც რეკომენდებული იყო ECRI-ის 2010 წლის ანგარიშში.[75] სტრატეგიამ საბოლოო სახე მხოლოდ 2014 წელს მიიღო და შესაბამისი სამოქმედო გეგმა მის დასანერგად ჯერაც არ შემუშავებულა. საქართველოში დაბრუნებული ბევრი მესხი ინტეგრაციის პრობლემებს აწყდება. ცნობადობა მათი რეპატრიაციის უფლებათა ისტორიულ მიზეზებზე კვლავ დაბალია ადგილობრივ თემებში, რაც ხანდახან გულისწყრომასა და სოციალურ გარიყვას იწვევს. ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები მესხთა რეპატრიაციის შესახებ, შემოთავაზებული ECRI-ის 2010 წლის პრიორიტეტულ რეკომენდაციებში[76], ხელისუფლებას არ ჩაუტარებია. საინტეგრაციო აქტივობები, მათ შორის, ქართული ენის ტრენინგები იქ, სადაც საჭიროა, კვლავ მწირია.

81. პრობლემათა იდენტიფიცირების, მათი გადასაჭრელი გზების მოძებნისა და ტენდენციების მონიტორინგის თვალსაზრისით საგულისხმოა ადეკვატური ინფორმაციის ფლობა უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფის სოციალურ და ეკონომიკურ ჩართულობაზე. ამას განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, როცა საქმე ეხება უმცირესობათა შედარებით მცირე ჯგუფების მდგომარეობის გაცნობიერებას. 2010 წელს ECRI-მ გასცა რეკომენდაცია, შექმნილიყო სისტემა, რომელიც შეაგროვებდა მონაცემებს თანასწორობაზე უმცირესობათა ჯგუფების სხვადასხვა სფეროში ინტეგრაციის ხარისხის შესაფასებლად, მათ შორის, საჯარო სექტორში

[75] ECRI-ის მეოთხე ანგარიშისაქართველოზე § 67.

[76] იქვე.

განათლებასა და დასაქმებასთან მიმართებით.[77] ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონით (მუხლი 2.7) ცხადად დაშვებულია სპეციალური ზომები დე ფაქტო თანასწორობის ხელშეწყობისათვის. თუმცა, ამგვარი სისტემა ჯერჯერობით არ შექმნილა.

- შედეგები

82. ისტორიული ეთნიკური უმცირესობები საქართველოში[78] კვლავ აწყდებიან პრობლემებს განათლების სფეროში. ქართულიდან უმცირესობათა ენებზე თარგმნილი სახელმძღვანელოების ხარისხი ხშირად დაბალია. დაახლოებით 70% ტექტებისა ითარგმნა, თუმცა, 30% მხოლოდ ქართულადაა ხელმისაწვდომი და ხშირად მასწავლებლები უგულებელყოფენ ამ საკითხს უმცირესობათა სკოლებში. უმცირესობათა ბავშვებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ხარისხი კვლავ პრობლემური რჩება, რაც იწვევს დაბალი საგანმანათლებლო სტანდარტის ჩამოყალიბებას ამ ბავშვებისათვის.[79] ეს ყველაფერი კი ქმნის დაბრკოლებებს მათი უმაღლესი განათლებისა და დასაქმების მხრივ. ამ საკითხთა მოგვარების მნიშვნელობაზე უკვე აღნიშნულია ECRI-ის 2010 წლის ანგარიშში.[80]

83. ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებზეც საუბარია 77-ე პუნქტში, მიმართული იყო ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური მარგინალიზაციის შესუსტებისკენ. ისინი დაინერგა 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მაგრამ არ მოიცავდა საკმარის აქტივობებს უნარების გამომუშავების კუთხით - მაგალითად, პროფესიულ ტრენინგ-პროგრამებს. ამგვარად, ამ პროექტებმა ვერ შეძლეს სოციალურ-ეკონომიკური გარიყულობის ხარისხის მნიშვნელოვნად შემცირება.[81]

84. არსებული ინტეგრაციის პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც გათვალისწინებულია 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციითა და სამოქმედო გეგმით, უმცირესობათა რეგიონებში სოციალური სერვისები კვლავ მარგინალიზებულია. მართალია, რაღაცები გაუმჯობესდა, მაგალითად, სოციალური დაცვის სფეროსა და, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სექტორში, თუმცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უმცირესობათა ენებზე კვლავ დაბალია და ხალხმა ყოველთვის არ უწყის სერვისებზე, რომლებიც არსებობს.[82] შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ატარებდა საინფორმაციო შეხვედრებს, რომლებიც უშუალოდ ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობებს მიემართებოდა, თუმცა ამგვარი პროპაგანდისტული სამუშაოების მასშტაბი კვლავ შეზღუდული რჩება.[83]

---

[77] მონაცემთა ამგვარი მოგროვება უნდა: i) განხორციელდეს კონფიდენციალობის, თანხმობაზე ინფორმირებისა და ინდივიდის ცალკეული ჯგუფის წევრად ნებაყოფლობითი იდენტიფიკაციის პრინციპთა დაცვით; და ii) ორგანიზებული იყოს ყველა დაინტერესებულთან მჭიდრო თანამშრომლობით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩათვლით. იხ: ECRI-ის მეოთხე ანგარიში საქართველოზე.

[78] რაც შეეხება ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობებს, ECRI-ის სურს, ხელისუფლების ყურადღება გაამახვილოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრებაზე, რომლის ბოლო ვიზიტიც მონიტორინგის მიზნით დაემთხვა ECRI-ისას.

[79] საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო 2014: 181.

[80] ECRI-ის მეოთხე ანგარიში საქართველოზე §§ 35 და 37.

[81] საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო, 2014: 188.

[82] იქვე.

[83] საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო, 2014: 124.

85. ბევრ გეოგრაფიულად იზოლირებულ უმცირესობათა რეგიონში ქართული რადიო და ტელევიზია ხელმისაწვდომი არ არის და ხალხი აზერბაიჯანული, სომხური ან რუსულენოვანი მედიის იმედადაა. ეს იწვევს არასაკმარის ინფორმირებას მიმდინარე მოვლენებზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უმცირესობათა წევრების დაბალხარისხიან პოლიტიკურ ჩართულობას.[84] მართალია, ხელისუფლებამ გარკვეული ტექნიკური ზომები მიიღო საჯარო მაუწყებლის დაფარვის ზონის გასაზრდელად, მაგრამ პრობლემა სრულად არ მოგვარებულა. ეს სავარაუდოდ მხოლოდ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლით შეიცვლება, რომელიც ახლო მომავალშია მოსალოდნელი.[85] თუმცა, ქართული საზოგადოებრივი მაუწყებლის უფრო ფართოდ ხელმისაწვდომობა არ იქნება საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად, ვინაიდან უმცირესობათა ენებზე პროგრამები შეზღუდული რაოდენობისაა და ყოველთვის მოსალოდნელი ხარისხის არ გახლავთ.[86] 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა გულისხმობდა ამ პროგრამების რიცხვის გაზრდასაც, მაგრამ მათი რეიტინგი და მიმზიდველობა კვლავ დაბალი რჩება. პროგრამა „ჩვენი ეზო“, შექმნილი უმცირესობათა საკითხების გასაშუქებლად, გააკრიტიკეს ისტორიული ეთნიკური უმცირესობების წევრებმა მათი იზოლირებულ ჯგუფებად წარმოჩენის გამო, ნაცვლად იმისა, ყურადღება ინტეგრირებაზე გამახვილებულიყო; ასევე აღნიშნავდნენ, რომ ეს პროგრამა ხანდახან ხელახლა ქმნიდა სტერეოტიპებს.[87]

86. ბოშათა თემი კვლავ სოციალურად მარგინალიზებულია, განსაკუთრებით განათლებისა და დასაქმების სფეროებში. მათი მონაწილეობა სოციალურ პროგრამებსა და საზოგადოებრივ საქმეებში მინიმალურია, სკოლაში კი ბოშა ბავშვების მხოლოდ მცირე ნაწილი დადის რეგულარულად.[88] ეს პრობლემები არსებობს, მიუხედავად ECRI-ის წინა რეკომენდაციისა, საგანგებო ყურადღება გამახვილებულიყო ამ საკითხებზე.[89] ხელისუფლებამ აცნობა ECRI-ს, რომ ამ ბავშვების ნაწილი ჩართეს სოციალური ჩართულობისა და განათლების მხარდაჭერის პროგრამებში, რომლებიც ნახსენებია 78-ე პარაგრაფში. 158 ბავშვიდან, რომლებმაც ისარგებლეს სოციალური ცენტრების სერვისებით, 18 ბოშა იყო. ეს მდგომარეობა უფრო დიდი პრობლემის სიმპტომია, კერძოდ იმის, რომ 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა მეტწილად ფოკუსირდებოდა უფრო დიდ უმცირესობებზე, შედარებით მცირე უმცირესობათა ხარჯზე, როგორიცაა ბოშები.[90]

- **ახალი პოლიტიკა**

87. 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და მისი სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვის შემდეგ, ხელისუფლება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წლების სტრატეგიის შედგენა-მიღებაზე მუშაობს. 2015 წლის აპრილში საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის

---

84 იქვე: 186.

85 იქვე: 95.

86 იქვე: 183-184.

87 იქვე: 96.

88 იქვე: 115.

89 ECRI-ის მეოთხე ანგარიში საქართველოზე, §§ 60 და 61.

90 საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო 2014: 180.

პირველმა მოადგილემ, ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა, რომ სტრატეგია მიმართული უნდა იყოს ინტეგრაციის მიღწევისაკენ, რომელიც დაეფუძნება სამოქალაქო თანასწორობას; მასში ჩართულნი უნდა იყვნენ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ცხოვრების ყველა სფეროდან, პოლიტიკურ აქტივობათა ჩათვლით; სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ენის ცოდნის სათანადო განვითარება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც.[91] ECRI-ს სწამს, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს წინა სტრატეგიის შეფასებებს, გამოასწორებს არსებულ ხარვეზებს, სრულ კონსულტაციას გაივლის ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან და მეთვალყურეობას გაუწევს ახალი სტრატეგიის მტკიცედ დანერგვას.

88. ECRI-ს ასევე სურს საქართველოს ხელისუფლების წახალისება, რათა დაუყოვნებლივ შეიმუშაოს მესხთა რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სრულყოფილი სამოქმედო გეგმა და ინტეგრაციის სტრატეგია დევნილებისა და სოციალური დახმარების მქონე პირებისათვის.

89. ECRI იძლევა რეკომენდაციას, გაძლიერდეს ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია შემდეგი გზებით: 1) უმცირესობათა განათლების დონის გაზრდა, განსაკუთრებით i) სახელმძღვანელოების გაუმჯობესება; ii) ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა რიცხვის გაზრდა; და iii) პროფესიული ტრენინგ-პროგრამების გაფართოება; 2) უმცირესობათათვის სოციალურ სერვისებზე ინფორმაციის მისაწოდებლად პროპაგანდისტულ აქტივობათა მომატება; 3) საჯარო მაუწყებლის პროგრამების რიცხვის გაზრდა უმცირესობათა ენებზე და მათი ხარისხის გაუმჯობესება; 4) მესხთა რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიაზე დაყრდნობით ამომწურავი სამოქმედო გეგმის დაუყოვნებლივ მიღება და დაბრუნებული მესხებისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნა ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი აქტივობებით; 5) სოციალური ჩართულობისა და განათლების მხარდაჭერის პროგრამათა გაფართოება, ბოშა ბავშვების სკოლაში დასწრებაზე საგანგებო ყურადღების გამახვილება.

90. ECRI ასევე იძლევა რეკომენდაციას, შეიქმნას ამომწურავი ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა დევნილთა და სოციალური დახმარების მქონე პირებისთვის, განსაკუთრებით, ქართული ენის რეგულარული გაკვეთილების ჩატარებით.

91. გარდა ამისა, ECRI-ის რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას თანასწორობის მონაცემთა შეგროვების სისტემა უმცირესობათა ინტეგრაციის მონიტორინგისათვის, როგორც ეს მითითებულია საქართველოს შესახებ 2010 წლის ანგარიშის 105-ე პარაგრაფში.

[91] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ გვერდი 24.04.2015.

II. საქართველოსთვის სპეციფიკური საკითხები

1. მეოთხე ეტაპის რეკომენდაციები შუალედური შემოწმებისთვის

92. ECRI-ის მეოთხე ეტაპის პრიორიტეტულ რეკომენდაციათა შედეგები განხილულია ზემოთ, I.4 თავში, 76-ე, მე-80 და 82-ე პუნქტებში.

2. სხვა

2.1 რელიგიური შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია

93. სიძულვილის ენისა და ძალადობის ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, რომ რელიგიური შეუწყნარებლობა და მზარდი დაძაბულობა სერიოზული პრობლემაა. მართალია, კონსტუტიციით უზრუნველყოფილია რელიგიის თავისუფლება, თუმცა, ზოგადად, ქართულ მართლმადიდებლურ და ეროვნულ იდენტობებს შორის მჭიდრო კავშირია. ამგვარი ეთნორელიგიური იდენტობითი კავშირი განაპირობებს მიჯაჭვულობას საქართველოს მართლმადიდებლური რელიგიისადმი, რაც მოსახლეობის 80%-ის გადაწყვეტილებაა, და ეს არსებითია ქართველობისთვის. უმცირესობათა რელიგიები ხშირად აღიქმება უცხოდ და ქართული საზოგადოების ერთიანობისა და გადარჩენის პოტენციურ საფრთხედ, განსაკუთრებით, როცა ისინი იმ ეთნიკურ ჯგუფებთან ასოცირდება, რომლებსაც კავშირები აქვთ მეზობელ სახელმწიფოებთან. სუნიტი მუსლიმები აჭარის რეგიონში თურქეთთან ასოცირდებიან, შიიტი მუსლიმები - აზერბაიჯანთან, ხოლო სომეხი სამოციქულო ქრისტიანები - სომხეთთან.[92] ეს ნავარაუდევი კავშირები ასაზრდოებს რადიკალურ ეროვნულ იდეას, რომ უმცირესობები შესაძლოა არ იყვნენ საქართველოს სახელმწიფოს ერთგულნი. ახალი ქრისტიანული ჯგუფები, როგორიცაა იეჰოვას მოწმეები, ხშირად გარე გავლენად აღიქმებიან, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დომინანტობასა და მჭიდრო კავშირს ერთან.

94. ერთი ქრისტიანული ეკლესიის თითქმის მონოპოლიურ მდგომარეობას წარსულში არ გაუიოლებია კონსტრუქციული პლურალისტული რელიგიური ტრადიციის შექმნა. ეს ასევე თვალშისაცემია, როცა საქმე ეხება რელიგიურ ნაგებობათა წინა მესაკუთრეთათვის დაბრუნების პრობლემას, რომელთაგან უმეტესობას ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იყენებს. სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ ექვსი ტაძრის დაბრუნება მოითხოვა. მას საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსი აქვს, რასაც ხელისუფლება, როგორც ჩანს, არასაკმარისად მიიჩნევს იმისათვის, რომ ეკლესია ამ ნაგებობათა სამართალმემკვიდრედ ცნოს მესაკუთრის სახით. კათოლიკურმა ეკლესიამ აცნობა ECRI-ს, რომ ხუთი ტაძარი ჯერ კიდევ არ დაუბრუნებიათ მისთვის და მათ კვლავ მართლმადიდებლური ეკლესია იყენებს. ბათუმში ახლახან აიღეს დაფა, რომელიც განმარტავდა ძველად კათოლიკური და ამჟამად მართლმადიდებლური ეკლესიის ექსპლუატაციაში არსებული ტაძრის ისტორიას.

95. რელიგიური უმცირესობები ასევე აწყდებიან პრობლემებს ახალ სალოცავთა აგების მხრივ. კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვა რუსთავში ორ წელზე მეტხანს განიხილებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა

[92] არ იკვეთება ძლიერი გულისწყრომა რუსი მართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ, სავარაუდოდ, რუსული და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების რელიგიური სიახლოვის გამო.

სასამართლო გადაწყვეტილება მუნიციპალური ადმინისტრაციის მხრიდან ამ ნებართვის გაცემაზე. მრავალი წლის განმავლობაში მუსლიმთა თემი ბათუმში ვერ ახერხებდა მეორე მეჩეთის მშენებლობაზე ნებართვის მიღებას და რამდენიმე ასეულ მუსლიმს, იმის გამო, რომ არსებული მეჩეთი პარასკევის ლოცვებისას ვერ იტევდა, ღია ცის ქვეშ უწევდა ლოცვა ახლომახლო ქუჩებში. საბოლოოდ, მუნიციპალიტეტი დათანხმდა ახალი მეჩეთის მშენებლობას, მაგრამ იმ პირობით, რომ ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებით აიგებოდა. იეჰოვას მოწმეებიც ხშირად აწყდებიან პრობლემებს სამეფო დარბაზების მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორც თერჯოლის საქმეში ვნახეთ (იხ. § 51 ზემოთ).

96. ECRI იძლევა რეკომენდაციას, დარჩენილი დავები რელიგიური საკუთრების შესახებ სწრაფი, გამჭვირვალე და სამართლიანი გზით მოგვარდეს; ასევე, სალოცავ დაწესებულებათა მშენებლობაზე უარი არ გაიცეს აკვიატებული რელიგიური აზრების ან ადგილობრივი პროტესტის გამო, მაგრამ განცხადებები დამუშავდეს სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად.

97. 2014 წელს საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა რელიგიის საკითხთა ახალი სახელმწიფო სააგენტო.[93] თუმცა, ამ პროცესში კონსულტაცია არ გაუვლიათ რელიგიურ უმცირესობებსა ან სახალხო დამცველთან. ჯერჯერობით სრულად ცხადი არ არის არც სააგენტოს მანდატი და არც რეკომენდაციათა შემუშავების პროცედურა, რაც მისი ერთ-ერთი ფუნქციაა. ასევე უცნობია, როგორ ითანამშრომლებს სააგენტო 2005 წლიდან სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან, ან როგორ ჩართავს რელიგიურ უმცირესობებს თავის საქმიანობაში. სხვადასხვა რელიგიური თემის წარმომადგენლები იმედგაცრუებულნი არიან იმის გამო, რომ სააგენტოს მათთან შეხვედრა არ უცდია. ამ დრომდე ის ძირითადად სამ საკითხზე მუშაობდა: რელიგიური ჯგუფებისათვის ფინანსების განაწილება; ისლამოფობიური თავდასხმების შემდეგ ადგილობრივი შემრიგებლური მექანიზმების შექმნა; და სახელმწიფო პოლიტიკის ახალი სტრატეგიის შემუშავება რელიგიასთან მიმართებით.

98. სააგენტომ გადაწყვიტა, ნაწილობრივი კომპენსაციის სახით, ოთხი რელიგიური ჯგუფი დაეფინანსებინა საბჭოთა პერიოდში განცდილი უსამართლობებისა და ზიანის გამო.[94] მუსლიმურმა თემმა მიიღო 1 100 000 ლარი, სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ -300 000, კათოლიკურმა ეკლესიამ - 200 000, ხოლო ებრაულმა თემმა - 100 000.[95] თუმცა, ეს ჯგუფები ჩიოდნენ, რომ გადაწყვეტილების გამოტანამდე მათთან არასაკმარისი დიალოგი გაიმართა და კრიტერიუმებიც ნაკლებად გამჭვირვალე იყო.

99. ეჭვები სააგენტოს საქმიანობაზე კიდევ უფრო გაღრმავდა 2015 წლის დასაწყისში, მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველომ „თავიდან უნდა აირიდოს მეზობელი ქვეყნების მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკაში ჩარევა მისი მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნების გამოყენებით. საქართველოში ... პრობლემის

[93]საქართველოს მთავრობა 2014(c), რეზოლუცია N 177, 19.02.2014.

[94]საქართველო არ ეთანხმება პასუხისმგებლობას საბჭოთა კავშირის მიერ მიყენებულ ზიანზე. გადარიცხვების მიზანი სამართლებრივი თვალსაზრისით რეპარაცია არ არის, ეს უბრალოდ პოლიტიკური და სიმბოლური ჟესტია ისტორიულ უსამართლობათა კომპენსირებისთვის.

[95]საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ამჟამად ყოველწლიურად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 000 000 ლარით.

არეალი დავიწროვდა და მარტოოდენ რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა, მაშინ, როცა ამავდროულად, აუცილებლად უნდა მოიცავდეს ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოების დისკურსს.“[96] ბევრი დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ რელიგიური თავისუფლებისა და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სახელმწიფო უშიშროების პერსპექტივაში განხილვა საზიანოა უფლებათა დაცვის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის პრევენციის თვალსაზრისით. მას თან ახლავს თვითაღსრულებად წინასწარმეტყველებად ქცევის რისკი, ვინაიდან შესაძლოა შედეგად უმცირესობათა მარგინალიზაცია გამოიწვიოს, მათი სახელმწიფოს მიმართ რწმენისა და იდენტიფიცირების თანდათანობითი მოსპობით.

100. ამ სტრატეგიის მეოთხე სახელმძღვანელო პრინციპის მიხედვით, „რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვა ხორციელდება მსგავსი სტატუსის მქონე სუბიექტთა თვითმყოფადობის აღიარებითა და სახელმწიფოს ერთიან საჯარო პოლიტიკაში სათანადო ინტეგრაციის უზრუნველყოფით“[97]. თუმცა, ინტეგრაცია საჯარო პოლიტიკაში საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა და მისი გამოცხადება რელიგიურ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის წინაპირობად, ბადებს კითხვებს, თუ რატომ უნდა იყოს ასე და როგორ დაინერგება იგი პრაქტიკაში. ასევე ბუნდოვანი რჩება, რამდენად გამოაცალკევებს ამ პრინციპის გამოყენება რელიგიურ უმცირესობებს საჯარო პოლიტიკაში ინტეგრაციის მიზნით მაშინ, როცა უმრავლესობის რელიგიას - ქართულ მართლმადიდებლობას - უფრო დიდ ავტონომიას ანიჭებს.

101. ECRI იძლევა რეკომენდაციას, შეიცვალოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია ისე, რომ ფოკუსირდეს რელიგიურ უმცირესობათა უფლებებზე, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებსა და ჩართულობისა და რელიგიური შემწყნარებლობის ხელშეწყობაზე ინტეგრაციის პერსპექტივიდან. ამას გარდა, რელიგიურ უმცირესობათა საჯარო პოლიტიკაში ჩართვის ცნება უნდა დაზუსტდეს რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სრულად დაცვის შესაბამისად.

102. ECRI-ს ეცნობა, რომ მედიაციის მექანიზმებში, რომლებიც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შექმნა ჭელას მსგავს ისლამოფობიურ ინციდენტთა შემდგომ (იხ. თავი I.3), ჩართულნი არ იყვნენ სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრის ექსპერტები, რომელთაც რელიგიურ დაძაბულობათა საკითხზე დიდი გამოცდილება შეიძინეს რელიგიათა საბჭოს მეშვეობით. გაუგებარია, ეს ძვირფასი გამოცდილება რატომ არ გამოიყენება რელიგიათაშორისი დავების მოგვარებისას.

103. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაზარდოს თავისი მხარდაჭერა რელიგიათა საბჭოს მიმართ, რომელიც სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ეგიდით საქმიანობს. კერძოდ, ხელისუფლებამ უნდა დაავალოს ახალშექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომ ითანამშრომლოს რელიგიათა საბჭოსთან და გამოიყენოს მისი გამოცდილება და რეკომენდაციები რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის მოსაგვარებლად.

[96] რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 2015: 4.

[97] იქვე.

2.2 დისკრიმინაციასა და ლგბტ პირთა შეუწყნარებლობასთან ბრძოლის პოლიტიკა[98]

104. შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია ლგბტ პირთა წინააღდმეგ ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. 2013 წელს თბილისში ჩატარდა კვლევა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს მომხდარ ძალადობაზე (იხ: ზემოთ § 55). გამოკითხულთა 50%-ის თქმით, ძალადობა მისაღებია იმ პირთა მიმართ, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ ეროვნულ ღირებულებებს - მაგალითად, ლგბტ პირები. დაახლოებით 60% მიიჩნევდა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები, რომლებიც ლგბტ პირთა წინააღმდეგ ძალადობრივ ქმედებებში მონაწილეობდნენ, არ უნდა გასამართლდნენ. თითქმის 50%-მა კი განაცხადა, რომ სექსუალურ უმცირესობათა უფლებები პატივსაცემი არ არის.[99]

105. საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს რაიმე საგანგებო სტრატეგია ლგბტ პირთა დისკრიმინაციასა და შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად. მართალია, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, მაგრამ ამ დრომდე არანაირი ეფექტიანი ზომა არ მიღებულა.

106. ხელისუფლებამ აცნობა ECRI-ს, რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები ლგბტ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისათვის, არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული სკოლის სასწავლო პროგრამებში. ლგბტ საკითხებზე ბალანსირებული და ობიექტური სწავლების არარსებობის გამო მოსწავლეები მოწყვლადნი რჩებიან ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის მიმართ.

107. ლგბტ პირთა დისკრიმინაციისგან დაცვის მხრივ გარკვეულ საკანონმდებლო გაუმჯობესებათა მიუხედავად (იხ. თავი I.1), მისი აღსრულების მექანიზმები არაადეკვატური რჩება (იხ: თავები I.2 და I.3).[100]

108. ECRI იძლევა რეკომენდაციას, გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება ლგბტ-სადმი მიძღვნილი დეპარტამენტის შექმნაში. ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად.

109. ამჟამად საქართველოში არ არის აღიარებული რაიმე სახის ერთსქესიანი პარტნიორობა. ეს იწვევს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას სოციალურ უფლებათა სფეროში. ამ მხრივ, ECRI ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე CM/Rec(2010)5 წევრი სახელმწიფოების მიმართ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლებზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ.

---

[98] ლგბტ-ს განმარტებასთან დაკავშირებით, შდრ. ევროპის საბჭო, დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლებზე ვროპაში 2011 წელს: 21 და 139 და შემდეგი.

[99] CRRC Georgia 28.04.2015.

[100] WISG / ILGA-Europe 2015(a): 4-5; და „იდენტობა“ 2013: 11.

110. სქესის შეცვლის ოპერაციის კრიტერიუმები ბუნდოვანია და არ არის სტანდარტიზებული. ასევე არ არის ცხადი მოთხოვნები ახალი გენდერული იდენტობის ცნობასა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ცვლილებასთან მიმართებით.[101] ECRI განსაკუთრებულად ამახვილებს ხელისუფლების ყურადღებას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2048 (2015) რეზოლუციაზე.[102]

111. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ ნათელი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშაოს სქესის შეცვლის პროცედურებსა და მათ ოფიციალურ აღიარებასთან მიმართებით.

[101] WISG 2015(b): 47.

[102] ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეზოლუცია 2048(2015): კერძოდ §§ 6.2.1 და 6.3.1.

რეკომენდაციები შუალედური შემოწმებისთვის

ორი კონკრეტული რეკომენდაცია, რომელთა განხორციელებასაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ECRI პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს, ასეთია:

- ECRI-ის რეკომენდაციით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შექმნას საგანგებო დანაყოფი პოლიციაში, რომელიც იმუშავებს კონკრეტულად რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულზე. ამ დანაყოფის შექმნისას ხელისუფლებამ კომპეტენტური საექსპერტო რჩევისათვის უნდა მიმართოს სახალხო დამცველს, ასევე, შესაბამის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.
- ECRI-ის რეკომენდაციით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაზარდოს თავისი მხარდაჭერა რელიგიათა საბჭოს მიმართ, რომელიც სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ეგიდით საქმიანობს. კერძოდ, დაავალოს ახალშექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომ ითანამშრომლოს რელიგიათა საბჭოსთან და გამოიყენოს მისი გამოცდილება და რეკომენდაციები რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის მოსაგვარებლად.

ამ ორი რეკომენდაციისთვის შუალედურ შემოწმებას ECRI განახორციელებს ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ორი წლის შემდეგ.

რეკომენდაციების სია

რეკომენდაციები ტექსტში ნაჩვენებია ფრჩხილებში.

1. (§ 7)ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონი, ხელისუფლებამ შესაბამისობაში მოიყვანოს მისი ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციასთან, როგორც ეს აღნიშნულია წინამდებარე მუხლებში; კერძოდ, სისხლის სამართლის დანაშაულად მკაფიოდ გამოაცხადოს (i) რასობრივი შეურაცხყოფა, (ii) საჯარო გამოსვლა რასიზმის ან რასობრივი იდეოლოგიის ნიშნით, რომელიც აღიარებს რასობრივ უპირატესობას, (iii) რასიზმის ნიშნის მატარებელი გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ან ომის დროს ჩადენილ დანაშაულთა საჯარო უარყოფა, გაბიაბურება, გამართლება ან შეგუება; და (vi) რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლენა სახელმწიფო მოხელეთა მიერ მათი საქმიანობის განხორციელებისას.

2. (§ 18) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის #7 რეკომენდაციასთან, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ მოყვანილ მუხლებში. კერძოდ, კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ უნდა დაუმატოს (i) სეგრეგაცია, დისკრიმინაცია გაერთიანების მიერ და დისკრიმინაციის მცდელობაზე განცხადების გაკეთება; (ii) საჯარო სამსახურების ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ანტიდისკრიმინაციის პოლიტიკა დაიცვან მხარეებმაც, რომლებიც მათგან იღებენ კონტრაქტს, სესხებს, გრანტებს ან რაიმე სხვა სარგებელს, (iii) უფასო იურიდიული დახმარების გაწევისა ან ადვოკატის ან, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის ყოლის უფლება მათთვის, ვინც აპირებს მიმართოს სასამართლოს; (iv) დისკრიმინაციის შემთხვევებზე სასამართლოსთვის მიმართვისას დაჩქარებული პროცედურის შესაძლებლობა; (v) შევიწროების ნებისმიერი დასახელებული საფუძვლით. ECRI ასევე იძლევა რეკომენდაციას, ამოქმედდეს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს რასიზმის ხელშემწყობი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას, ან მათ დახურვას ან გაუქმებას.

3. (§ 22) ECRI იძლევა რეკომენდაციას (i) კერძო პირებსა და ორგანიზაციებს ჰქონდეთ ვალდებულება, სახალხო დამცველს წარუდგინონ საჭირო მტკიცებულებები; (ii) სახალხო დამცველს ჰქონდეს უფლება, მიმართოს სასამართლოს კონკრეტული მსხვერპლის მითითების გარეშე, ზოგადი ინტერესის სფუძველზე; (iii) გააძლიეროს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების შესაძლებლობები.

4. (§ 24) ECRI რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, შექმნას რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა. ამის საფუძვლად გამოდგება სახალხო დამცველისა და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციათა ექსპერტული ცოდნა.

5. (§ 33) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ გადახედოს მის კონტრაქტებს მედია საშუალებებთან და გააუქმოს, ან განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილის ენის გამოვლენაში. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი კონტრაქტები შეიცავდნენ დათქმას კონტრაქტის გაუქმების შესახებ, თუკი

მედიაში გამოვლინდება რასისტული ან ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენა.

6. (§ 40) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ მიღებულ იქნას სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კანონი მისი ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციის #7 § 18 (a)-(f) შესაბამისად და ზემოთ მე-7 პუნქტში აღნიშნულ რეკომენდაციასთან კავშირში. ამავე დროს, უნდა ჩატარდეს ტრენინგები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონი არ გამოიყენებოდეს მოწყვლადი ჯგუფების ლეგიტიმურ და არაძალადობრივ შეხედულებათა ჩასახშობად.

7. (§ 42) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, მედიის თვითრეგულირებად ორგანოებთან ერთად, წამოიწყოს ცნობიერების ამაღლების კამპანია სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ, ისე, რომ არ მოხდეს მათი დამოუკიდებლობის ხელყოფა. ხელისუფლებამ უნდა ეძიოს შესაძლებლობები, რომ მხარი დაუჭიროს და განამტკიცოს დადებითი მიდგომები მედიაინდუსტრიაში ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

8. (§ 44) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველომ ხელი მოაწეროს კონვენციის დამატებით ოქმს, რომელიც ეხება რასისტულ და ქსენოფობიურ ქმედებათა კრიმინალიზაციას, ჩადენილს კომპიუტერული სისტემების საშუალებით და მისი რატიფიცირება მოახდინოს.

9. (§ 46) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ პარლამენტის რეგლამენტში შეიტანონ დებულება, რომელიც კრძალავს რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ შეურაცხყოფას და ითვალისწინებს ზომებს ან/და სანქციებს მისი დარღვევის შემთხვევაში. გარდა ამისა, ECRI რეკომენდაციას უწევს ყველა პოლიტიკურ პარტიას, მყარი პოზიცია დაიკავოს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის წინააღმდეგ.

10. (§ 48) ECRI იძლევა რეკომენდაციას, შეიქმნას ერთიანი მონაცემთა ბაზა სიძულვილით ჩადენილ ყველა დანაშაულზე, იმ საქმეთა ჩათვლით, სადაც გამოყენებულია დამამძიმებელი გარემოებები.

11. (§ 62) ECRI იძლევა რეკომენდაციას, მონიტორინგი გაეწიოს იმას, გამოიძიებს თუ არა პოლიცია შესაძლო რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიურ მოტივებს; დამატებითი რეკომენდაციის სახით, იგი ურჩევს ამ მოტივების განხილვას სასამართლო პროცესის დასაწყისიდანვე.

12. (§ 67) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა მოხელეთათვის გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე. გარდა ამისა, ტრენინგები უნდა ფარავდეს ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებსაც. ასევე გასცემს რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ შეაფასოს ტრენინგების გავლენა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეცვალოს ისინი.

13. (§ 68) გარდა ამისა, ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შექმნას პოლიციის სპეციალიზებული დანაყოფი, რომელიც საგანგებოდ იმუშავებს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებზე. ამ დანაყოფის შექმნისას ხელისუფლებამ კომპეტენტური საექსპერტო რჩევისთვის უნდა მიმართოს სახალხო დამცველს, ასევე, შესაბამის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

14. (§ 70) ECRI იძლევა რეკომენდაციას, ეცნობოს საზოგადოებას სისხლის სამართლის იმ დებულებებზე, რომლებიც რასობრივად მოტივირებულ, რელიგიური შეუწყნარებლობის ან ჰომო/ტრანსფობიურ ნიადაგზე ჩადენილ ქმედებათა დასჯის საშუალებას იძლევა; ასევე ხელი შეუწყონ მსხვერპლთ, რომ გაასაჩივრონ ამგვარი ქმედებები. ECRI-ის დამატებითი რეკომენდაციით, უნდა დაიწყოს ცნობიერების ამაღლების პროგრამები სკოლებსა და უნივერსიტეტებში რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილთან საბრძოლველად.

15. (§ 74) ECRI იძლევა რეკომენდაციას, სრულად და დამოუკიდებლად გამოიძიონ ისლამოფობიის შემთხვევები, განსაკუთრებით კი ჭელას, ქობულეთისა და მოხეს ინციდენტები, სიძულვილით ჩადენილ სხვა დანაშაულებთან ერთად, და სამართალდამრღვევთა მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ECRI-ის დამატებითი რეკომენდაციით, სამომავლოდ ხელისუფლებამ უნდა დაიცვას რელიგიურ და სხვა უმცირესობათა უფლებები ძალადობრივი საპროტესტო აქციის მონაწილეთაგან.

16. (§ 89) ECRI იძლევა რეკომენდაციას, გაძლიერდეს ისტორიულ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია შემდეგი გზებით: 1) უმცირესობათა განათლების დონის გაზრდა, განსაკუთრებით i) სახელმძღვანელოების გაუმჯობესება; ii) ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა რიცხვის გაზრდა; და iii) პროფესიული ტრენინგ-პროგრამების გაფართოება; 2) უმცირესობათათვის სოციალურ სერვისებზე ინფორმაციის მისაწოდებლად პროპაგანდისტულ აქტივობათა მომატება; 3) საჯარო მაუწყებლის პროგრამების რიცხვის გაზრდა უმცირესობათა ენებზე და მათი ხარისხის გაუმჯობესება; 4) მესხთა რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიაზე დაყრდნობით ამომწურავი სამოქმედო გეგმის დაუყოვნებლივ მიღება და დაბრუნებული მესხებისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნა ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიანი აქტივობებით; 5) სოციალური ჩართულობისა და განათლების მხარდაჭერის პროგრამათა გაფართოება, ბოშა ბავშვების სკოლაში დასწრებაზე საგანგებო ყურადღების გამახვილება.

17. (§ 90) ECRI ასევე იძლევა რეკომენდაციას, შეიქმნას ამომწურავი ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა დევნილთა და სოციალური დახმარების მქონე პირებისთვის, განსაკუთრებით, ქართული ენის რეგულარული გაკვეთილების ჩატარებით.

18. (§ 91) გარდა ამისა, ECRI-ის რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას თანასწორობის მონაცემთა შეგროვების სისტემა უმცირესობათა ინტეგრაციის მონიტორინგისათვის, როგორც ეს მითითებულია საქართველოს შესახებ 2010 წლის ანგარიშის 105-ე პარაგრაფში.

19. (§ 96) ECRI იძლევა რეკომენდაციას, დარჩენილი დავები რელიგიური საკუთრების შესახებ სწრაფი, გამჭვირვალე და სამართლიანი გზით მოგვარდეს; ასევე, სალოცავ დაწესებულებათა მშენებლობაზე უარი არ გაიცეს აკვიატებული რელიგიური აზრების ან ადგილობრივი პროტესტის გამო, მაგრამ განცხადებები დამუშავდეს სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად.

20. (§ 101) ECRI იძლევა რეკომენდაციას, შეიცვალოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია ისე, რომ ფოკუსირდეს რელიგიურ უმცირესობათა უფლებებზე, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებსა და ჩართულობისა და რელიგიური შემწყნარებლობის ხელშეწყობაზე ინტეგრაციის

პერსპექტივიდან. ამას გარდა, რელიგიურ უმცირესობათა საჯარო პოლიტიკაში ჩართვის ცნება უნდა დაზუსტდეს რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სრულად დაცვის შესაბამისად.

21. (§ 103) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაზარდოს თავისი მხარდაჭერა რელიგიათა საბჭოს მიმართ, რომელიც სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ეგიდით საქმიანობს. კერძოდ, ხელისუფლებამ უნდა დაავალოს ახალშექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომ ითანამშრომლოს რელიგიათა საბჭოსთან და გამოიყენოს მისი გამოცდილება და რეკომენდაციები რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის მოსაგვარებლად.

22. (§ 108) ECRI იძლევა რეკომენდაციას, გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება ლგბტ-სადმი მიძღვნილი დეპარტამენტის შექმნაში. ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად.

23. (§ 111) ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ ნათელი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშაოს სქესის შეცვლის პროცედურებსა და მათ ოფიციალურ აღიარებასთან მიმართებით.

ბიბლიოგრაფია

ეს ბიბლიოგრაფია ჩამოთვლის ძირითად გამოქვეყნებულ წყაროებს, გამოყენებულს საქართველოში არსებული ვითარების შესწავლისას. ის არ უნდა მიიჩნიოთ გამოყენებული წყაროების ამომწურავ სიად, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ECRI-თვის ამ ანგარიშის მომზადებისას.

European Commission against Racism and Intolerance (ECRI)

1. ECRI (2013), Conclusions on the implementation of the recommendations in respect of Georgia subject to interim follow-up, CRI(2013)41.
2. ECRI (2010), Third report on Georgia, CRI(2010)17.
3. ECRI (2007a), Second report on Georgia, CRI(2007)2.
4. ECRI (2002), Report on Georgia, CRI(2002)2.
5. ECRI (1996), General Policy Recommendation No.1: Combating racism, xenophobia, antisemitism and intolerance, CRI(96)43.
6. ECRI (1997), General Policy Recommendation No.2: Specialised bodies to combat racism, xenophobia, antisemitism and intolerance at national level, CRI(97)36.
7. ECRI (1998a), General Policy Recommendation No.3: Combating racism and intolerance against Roma/Gypsies, CRI(98)29.
8. ECRI (1998b), General Policy Recommendation No.4: National surveys on the experience and perception of discrimination and racism from the point of view of potential victims, CRI(98)30.
9. ECRI (2000), General Policy Recommendation No.5: Combating intolerance and discrimination against Muslims, CRI(2000)21.
10. ECRI (2001), General Policy Recommendation No.6: Combating the dissemination of racist, xenophobic and antisemitic material via the Internet, CRI(2001)1.
11. ECRI (2003), General Policy Recommendation No.7: National legislation to combat racism and racial discrimination, CRI(2003)8.
12. ECRI (2004a), General Policy Recommendation No.8: Combating racism while fighting terrorism, CRI(2004)26.
13. ECRI (2004b), General Policy Recommendation No.9: The fight against antisemitism, CRI(2004)37.
14. ECRI (2007b), General Policy Recommendation No.10: Combating racism and racial discrimination in and through school education, CRI(2007)6.
15. ECRI (2007c), General Policy Recommendation No.11: Combating racism and racial discrimination in policing, CRI(2007)39.
16. ECRI (2009), General Policy Recommendation No. 12: Combating racism and racial discrimination in the field of sport, CRI(2009)5.
17. ECRI (2011), General Policy Recommendation No.13: Combating anti-Gypsyism and discrimination against Roma, CRI(2011)37.
18. ECRI (2012), General Policy Recommendation No.14: Combating racism and racial discrimination in employment, CRI(2012)48.

Other sources

19. Government of Georgia (2014a), National Strategy for the Protection of Human Rights in Georgia 2014-2020.
20. Government of Georgia (2014b), Action Plan of the Government of Georgia on the Protection of Human Rights 2014-2015.
21. Government of Georgia (2014c), Resolution N 177 on the Establishment of an Legal Entity of Public Law – the State Agency for Religious Issues and on Approval of its Statute, 19.02.2014.
22. Government of Georgia (2015), Progress Report [on the implementation of the Protection of Human Rights Action Plan 2014-2015].
23. Constitutional Court of Georgia (2011), Decision #2/482,483,487,502 of 18.04.2011.

24. Parliament of Georgia (2004), Code of Ethics of the Members of the Georgian Parliament.
25. Public Defender of Georgia (2014, October 19), The Public Defender Discussed Developments Around Kobuleti Muslim School, http://www.ombudsman.ge/en/news/the-public-defender-discussed-developments-around-kobuleti-muslim-school.page, accessed on 27.04.2015.
26. Public Defender (2015, January 9), The Public Defender Statement regarding threats against organization "Identoba" and its former head Irakli Vacharadze, http://www.ombudsman.ge/en/news/the-public-defender-statement-regarding-threats-against-organization-identoba-and-its-former-head-irakli-vacharadze.page, accessed on 04.05.2014.
27. State Agency of Religious Issues (2015), Religious Policy Development Strategy of the Georgian State.
28. State Ministry for Reconciliation and Civic Equality (2014), Assessment document on the implementation of the National Concept for Tolerance and Civic Integration and Action Plan for 2009-2014.
29. Website of the Ministry for Education and Science in Georgia, http://mes.gov.ge/content.php?id=4154&lang=eng, accessed on 13.05.2015.
30. Website of the Office of the State Ministry of Georgia for Reconciliation and Civic Equality (2015, April 24), Next Session of the Interagency Commission, http://www.smr.gov.ge/index.php?opt=10&no=1343#sthash.6unKhyOI.uhQmk84h.dpuf, accessed on 18.05.2015.
31. Council of Europe (2011), Discrimination based on sexual orientation and gender identity in Europe.
32. Council of Europe, Committee of Ministers (1997), Recommendation No. R (97) 20 on "hate speech".
33. Council of Europe Committee of Ministers (2010), Recommendation CM/Rec(2010)5 on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity.
34. Council of Europe, Parliamentary Assembly (2015), Discrimination against transgender people in Europe - Resolution 2048(2015).
35. European Court of Human Rights (ECtHR) (2007), Gldani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia, Application no. 71156/01, judgment.
36. ECtHR (2014), Begheluri and Others v. Georgia, Application no. 28490/02, Judgment.
37. ECtHR (2015), Identoba and Others v. Georgia, Application no. 73235/12, Judgment.
38. Council of Europe, Commissioner for Human Rights (2014), Report following his visit to Georgia from 20 to 25 January 2014 (CommDH(2014)9).
39. Council of Europe, Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities (2009), Opinion on Georgia (ACFC/OP/I(2009)001).
40. OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) (2013), Hate Crime Reporting - Georgia – 2012, http://www.hatecrime.osce.org/report-data/georgia/2012, accessed on 05.05.2015.
41. Amnesty International (2015), Amnesty International Report 2014/15: The State of the World's Human Rights. https://www.amnesty.org/en/documents/pol10/0001/2015/en/, accessed on 27.04.2015.
42. Antelava, N. (2013, May 23), What was behind Georgia's anti-gay rally? New Yorker. http://www.newyorker.com/news/news-desk/what-was-behind-georgias-anti-gay-rally, accessed on 25.08.2014.
43. Aravot online (2012, April 26), Racist statements by Georgian MP Azer Suleymanov, http://en.aravot.am/2012/04/26/157458/, accessed on 16.04.2015.
44. BBC News (2013, May 17), Thousands protest in Georgia over gay rights rally. http://www.bbc.com/news/world-europe-22571216, accessed on 29.04.2015.
45. Caucasus Research Resource Centers (CRRC) Georgia (2013), Survey on the May 17th Events in Tbilisi, http://www.crrccenters.org/2088/Survey-on-the-May-17th-Events-in-Tbilisi
46. Civil Georgia – Online News (2010, July 28), President's Office Comments on Saakashvili's 'Negro' Remarks.

http://www.civil.ge/eng/article.php?id=22554, accessed on16.04.2015.

47. Civil Georgia – Online News (2012, October 19), Ivanishvili Asked to Reconsider his Pick for IDP Minister for 'Hate Speech', http://www.civil.ge/eng/article.php?id=25368, accessed on 16.04.2015.

48. Civil Georgia – Online News (2014a, March 9), Iranian Embassy Criticizes Georgian Justice Minister for 'Unthoughtful' Remarks, http://www.civil.ge/eng/article.php?id=28112, accessed on 16.04.2015.

49. Civil Georgia – Online News (2014b, September 10), Pig's Head Nailed to Planned Muslim School in Kobuleti. http://www.civil.ge/eng/article.php?id=27654, accessed on 27.04.2015.

50. Civil Georgia – Online News (2015, January 26), Human Rights, Media Groups Slam Bill Criminalizing 'Strife-Inciting Calls', http://www.civil.ge/eng/article.php?id=28003, accessed on 28.04.2015.

51. Corley, F. (2013, July 4), Georgia: Will police protect Muslim prayers from mobs? Forum 18 News Service**,** http://www.forum18.org/archive.php?article_id=1854, accessed on 24.04.2015.

52. Georgian Democracy Initiative (GDI) (2013), Report on Human Rights and Freedoms, http://gdi.ge/uploads/other/0/162.pdf, accessed on 06.05.2015.

53. Georgian Journal (2012, November 2), Confrontation in Nigvziani between locals and Muslim community, http://www.georgianjournal.ge/news/index.php?option=com_content&view=article&id=20934:confrontation-in-nigvziani-between-locals-and-muslim-community&catid=13:society&Itemid=75, accessed on 25.04.2015.

54. Hammarberg, T. (2013), Georgia in Transition, European External Action Service (EEAS).

55. Hammarberg, T. (2014), Recommendations to the Government of Georgia, European External Action Service (EEAS).

56. Human Rights Education and Monitoring Centre (EMC) (2014), Legal Analysis of religious controversy revealed in Terjola, http://emc.org.ge/2014/06/26/legal-analysis-of-religious-controversy-revealed-in-terjola/, accessed on 27.04.2015.

57. EMC et al. (2015), Joint Submission to the UN Human Rights Council's Universal Periodic Review – Georgia.

58. Human Rights Watch (2014), World Report – Georgia, http://www.hrw.org/world-report/2014/country-chapters/georgia?page=2, accessed on 27.04.2015.

59. Human Rights Watch (2015), World Report – Georgia, http://www.hrw.org/world-report/2015/country-chapters/georgia?page=2, accessed on 27.04.2015.

60. Identoba (2013), Violations of the Rights of Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender People in Georgia - Submission to the UN Human Rights Committee.

61. Identoba (2015a, January 8), Identoba Members Receiving Death Threats by Religious Fundamentalists, http://identoba.com/2015/01/08/identoba-under-attack/, accessed on 05.05.2015.

62. Identoba (2015b, January 26), Joint statement of civil society and media organizations regarding bill on incitement of hatred, http://identoba.org/en/joint-statement/, accessed on 04.05.2015.

63. International lesbian, gay, bisexual, trans and intersex association (ILGA) (2014), State-Sponsored Homophobia.

64. Internews Georgia (2011), Monitoring of Media Coverage, Ethnic, Religious and Sexual Minorities in Georgian Printed Media - Quarterly Report 1 May 2011 - 31 July 2011.

65. Interights, Identoba and Others v Georgia, http://identoba.com/2015/01/08/identoba-under-attack/, accessed on 05.05.2015.

66. Jehovah's Witnesses (2014, October 14), European Court of Human Rights Upholds Rule of Law in Georgia, http://www.jw.org/en/news/legal/by-region/georgia/echr-judgment-freedom-religious-violence/, accessed on 27.04.2015.

67. Joint statement of civil society and media organizations regarding bill on incitement of hatred, 26.01.2015, available at: http://identoba.org/en/joint-statement/; last accessed: 04.05.2015.

68. Mama Cash International Women's Fund (2013, April 10), Georgian women's fund under fire, http://www.mamacash.org/news/georgian-womens-fund-under-fire/ accessed on 05.05.2015.

69. Media Development Foundation (MDF) (2013), Monitoring Hate Speech and Discrimination in Georgian Media (15 April – 15 August 2013), http://mdfgeorgia.ge/uploads//Hate%20Speech-Publication-ENG.pdf, accessed on 13.04.2015.

70. MDF (2014a), Hate speech and Discriminative Expressions in Georgian Public Discourse - Media Monitoring Findings (17 February to 17 May 2014). http://www.eurocommunicator.ge/mdf/uploads//REPORT_-_ENG.pdf; accessed on 17.04.2015.

71. MDF/GDI (2014b), No to Phobia – weekly newsletter no. 10.

72. MDF/GDI (2014c), No to Phobia – weekly newsletter no. 15.

73. MDF/GDI (2014d), No to Phobia – weekly newsletter no. 18.

74. MDF (2015, March 6), Statement of Member Organizations of the Civil Platform "No to Phobia! http://www.mdfgeorgia.ge/eng/view_statements/173/, accessed on 16.04.2015.

75. Popovaite, Inga (2014, October 4), Kobuleti, where Muslims are not welcome, Democracy & Freedom Watch, http://dfwatch.net/kobuleti-where-muslims-are-not-welcome-88539-31496, accessed on 27.04.2015.

76. Public Movement Multinational Georgia (2009, June 22), The "Public Movement Multinational Georgia" protests any expression with negative connotation regarding the ethnic minority groups. http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=11993&lang=eng, accessed on 16.04.2015.

77. Radio Free Europe/Radio Liberty (2014, July 21), Armenia Concerned by Attack on Priests in Georgia, http://www.rferl.org/content/armenia-georgia-incident-church-statement-investigation/25464788.html, accessed on 27.04.2015.

78. Roth, A. (2013, May 17), Crowd Led by Priests Attacks Gay Rights Marchers in Georgia, New York Times, http://www.nytimes.com/2013/05/18/world/europe/gay-rights-rally-is-attacked-in-georgia.html?_r=1, accessed on 04.05.2015.

79. Spiegel Online (2013, May 19), Gewalt gegen Homosexuelle: Westerwelle kritisiert georgische Regierung, http://www.spiegel.de/politik/deutschland/gewalt-gegen-homosexuelle-westerwelle-kritisiert-georgische-regierung-a-900731.html, accessed on 29.04.2015.

80. Tabula Georgia (2013, May 17), 17 May rally - Saganelidze: Responsibility lies with those sitting blithely in buses, http://www.tabula.ge/en/story/71231-saganelidze-responsibility-lies-with-those-sitting-blithely-in-buses, accessed on 30 April 2015.

81. Tolerance and Diversity Institute (TDI) (2014a), Study of Religious Discrimination and Constitutional Secularism in Georgia.

82. TDI (2014b, October 23), Joint statement of CSOs concerning violation of Muslims' rights in village Mokhe, http://bit.ly/1CPB4kk, accessed on 27.04.2015.

83. TDI (2014c, November 3), Analysis of Recent Occurrences in Mokhe Village, https://tdigeorgia.wordpress.com/2014/11/03/analysis-of-events-in-mokhe-village/, accessed on 27.04.2015.

84. Transparency International Georgia and others (2013, May 17), Initial assessment of events that took place in connection with the International Day Against Homophobia and Transphobia on May 17, http://transparency.ge/en/post/general-announcement/initial-assessment-events-took-place-17th-may, accessed on 04.05.2015.

85. Women's Initiatives Supporting Group (WISG) (2014), Rights of LBT Women in Georgia, Shadow Report for CEDAW, State Party: Georgia, Submitted for the 58th Session.

86. WISG/ILGA-Europe (2015a), Discrimination on the basis of sexual orientation and gender identity in Georgia – Joint Submission, 23rd Working Group Session of the UPR.

87. WISG (2015b), Situation of transgender people in Georgia.